ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 31 იანვარი 2004 №20 (2039) ფასი 50 თეთრი

ჩაიშალა! თურქეთი ვირზე შეჯდა

ვალერი ჩოლარია: ...თურქებს კიევში შენოლ გიუნეში ჩამოუძლვა და ისეთი სისულელეები თქვა, ისეთი სულელური ვარიანტი ჩამოიტანა, გავოცდით...

დინამო გაიშალა

ესენგეს ჩემპიონი ესენგემ ჩაყლაპა

ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, დარასელია, ბურდული, ალექსიძე...

რატი რუსულ პრემიერლიგაში: როსტოვი

ლადო კიევის დინამოში მიდის

ინტერვიუ
რატი ალექსიძესთან
და ლადო ბურდულთან
იხილეთ
მესამე გვერდზე

ან ისე, როგორც გვსურს, ან არაფერი — გუშინ თურქები ვირზე შეჯდნენ და კალენდარზე მოლაპარაკება ჩაშალეს. ოსმალომ კიევში თავი ისე დაიჭირა, აქაოდა, ქვეყანა ჩემია და კეთილი ინებეთ, ჩემი ვარიანტი მიიღეთო. თურქების ვარიანტი კი სხვებმა დაიწუნეს. შენოლ გიუნეში ზედიზედ სამი მატჩის შინ გამართვას ითხოვდა

თურქმა თქვა და გაათავა
შენოლ გიუნეშმა ბერძნები გააცოფა და სამი სტამბოლი მოითხოვა

სასტუმრო „ნაციონალნის" საკონფერენციო დარბაზში მეტოქეთა შეხვედრა წარმოუდგენლად დიდხანს — 12 საათს გაგრძელდა და ღამის 12 საათზე მორჩა. თურქეთმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ყველა მეტოქის ინტერესი უგულებელყო და კალენდრის მომლოდინენი გაწბილებულნი დატოვა. 12 საათის განმავლობაში ექვსი გუნდის წარმომადგენლები თურქეთის გადარწმუნებას ცდილობდნენ და შერჩეულ კომპრომისულ ვარიანტზე ხელმოწერას სთხოვდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ... ისე კი, როგორც გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, თურქების მწვრთნელი შენოლ გიუნეში კიევში ისეთი რიხით ჩავიდა, გასაკვირი არც უნდა იყოს მისი გუშინდელი აზირება.

— ექვსი გუნდის წარმომადგენელი გვერდი-გვერდ იჯდა და საპირისპირო მხარეს მსხდარ თურქებს ყველასგან მოწონებულ კალენდრის ვარიანტზე ხელმოწერას სთხოვდა. დანია თანახმა იყო, საბერძნეთი, ჩვენი მეგობარი საქართველო, ალბანეთი, უკრაინა, ყაზახეთმაც კი ხელები აწია შერჩეულ კომპრომისულ ვარიანტზე, მაგრამ თურქებმა... სადმე გინახავთ, რომ შესარჩევ ეტაპზე ნაკრებს ზედიზედ სამი მატჩი შინ ეთამაშოს? თურქები სწორედ ამას ითხოვდნენ, სხვა ვარიანტი არც კი აინტერესებდათ — გვითხრა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსმა ვალერი ნიკონოვმა — თურქებმა დღეს 6:1 გაიმარჯვეს. არავის ეგონა თუ თურქეთი დანარჩენი გუნდების ინტერესებს არად ჩააგდებდა.

შერჩეულ კომპრომისულ ვარიანტში დავა ძირითადად თურქებსა და ბერძნებს შორის ყოფილა. ოსმალები ზედიზედ სამი მატჩის გარდა, ბერძნებისგან ითხოვდნენ, რომ პირველი მატჩი ათენში, აგვისტოში ან სექტემბერში ეთამაშათ, მეორე წრეში კი სტამბოლში. ბერძნებს რკინის არგუმენტი ჰქონდათ, ათენი ოლიმპიადას მასპინძლობს და შესარჩევი მატჩის ამ პერიოდში ჩვენთან ჩატარება დიდი უაზრობააო. თურქებმა არ გსურთ ჩვენი ვარიანტი და კარგად იყავითო.

კიევში, სხვათა შორის, არც თურქეთის ფედერაციის პრეზიდენტი და არც გენმდივანი ყოფილან, გიუნეშს ფედერაციის ორი წარმომადგენელი ახლდა. ისინი კი თურმე, ყოველ ათ წუთში ერთხელ ტელეფონით თურქეთში საუბრობდნენ და პრეზიდენტ ჰალუკ ულუსოისგან შესაბამის დირექტივებს იღებდნენ. მათი ნალაპარაკევიდან საბოლოოდ რაც გამოვიდა, კარგად ჩანს.

თურქების ასეთი ნაბიჯი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნისთვის, ვალერი ჩოლარიასთვის მოულოდნელი არ ყოფილა:

— თურქებმა კიევში კალენდრის ერთი ვარიანტი ჩამოიტანეს და ცოცხალი თავით პოზიცია არ დათმეს, მიუხედავად იმისა, რომ ექვსივე გუნდი სხვა ვარიანტზე შეთანხმებულნი ვიყავით. თუ გახსოვთ, შესარჩევი ჯგუფის კენჭისყრისთანავე კალენდარზე მოსალაპარაკებლად თურქებმა სტამბოლში მიგვიწვიეს, თუმც მერე საქმეში უკრაინა ჩაერთო და საბოლოოდ ჩვენი შეხვედრა კიევში შედგა, რამაც, რა თქმა უნდა, თურქეთი გაალიზიანა. ისინი აქ ხელმძღვანელობის გარეშე ჩამოვიდნენ და ისეთი სისულელეები თქვეს, ისეთი სულელური ვარიანტი ჩამოიტანეს, გავვოცდით. მერე, როცა უკვე საქმე კენჭისყრამდე ანუ „ბერგერის ვარიანტამდე" მივიდა, რაზეც თურქებმა თანხმობა განაცხადეს, დანარჩენები ავდექით და მათ ყური არ ვათხოვეთ.

— კალენდარზე მოსალაპარაკებლად 18 თებერვლამდე კიდევ გაქვთ დრო...

— არა მგონია, კალენდრის შედგენა ასე გაჭიანურდეს. შეკრების ოქმში ჩაიწერა, რომ მოსალაპარაკებლად რამდენიმე დღე კიდევ გვჭირდება, თუმც ეს დრო უფრო ბერძნებისა და თურქებისაა. მათ თუ მოილაპარაკეს, მაშინ კალენდარი ჩვენი შეთანხმებისამებრ იქნება. თუ არადა, კალენდარს ფიფა შეადგენს. მე კი მაინც მგონია, რომ საბოლოო სიტყვა ფიფასი იქნება.

და ბოლოს, კალენდრის ის კომპრომისული ვარიანტი, რომელიც თურქეთმა დაიწუნა, საქართველოსთვის კიევში თამაშით იწყებოდა და დანიით მთავრდებოდა. უკრაინას ჩვენები მე-10 ტურში უმასპინძლებდნენ.

კობა ინასარიძე

ანრი მიშელი პორტუგალიამდე მოიცდის
თუთუმლუ თბილისში მარტო ჩამოდის



რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია პატიმრობიდან გაათავისუფლეს და ახლა მთავარი სალაპარაკო ეროვნული ნაკრების მწვრთნელის საკითხია.

ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატურა ამ პოსტზე ფრანგი ანრი მიშელი გახლავთ, ვინც თბილისში საახალწლოდ გვესტუმრა და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ლერი სულაბერიძესთანაც ჯენტლმენურად შეთანხმდა ჩვენი ეროვნული გუნდის გაწვრთნაზე.

და რა იქნება აწი? მოსალოდნელი გარიგების შუამავალი ბაირამ თუთუმლუ ჯერ თვითონ, მიშელის გარეშე შეხვდება ჟორდანიას — თურქი აგენტი თბილისში ერთხელაც ჩამოვა 5 ან 6 თებერვალს.

რაც შეეხება კულუარულ ინფორმაციას — ეროვნულ ნაკრებს დროებით ქართველი მწვრთნელი უთავკაცებს, ვიც გუნდს კვიპროსის ტურნირზეც ათამაშებს და რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც, ხოლო მიშელი საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დასრულების შემდეგ ჩაიბარებს.

დავით თავართქილაძე

REUTERS

დორტმუნდი — შალკე 0:1. გელზენკირხენელთა გამარჯვებაში ლევან კობიაშვილმა ლომის წილი დაიდო

კიევურმა ვნებათაღელვამ თავისი დაღი ალბანელთა გერმანელ მთავარ მწვრთნელს ჰანს პეტერ ბრიგელსაც დაასვა. გუშინწინ ჩვენთან ენაწყლიანად მოსაუბრე არიელი გუშინ საოცრად გადაღლილი, უკმაყოფილო და შეფიქრიანებული იყო. მიუხედავად ამისა, მცირე კომენტარზე მაინც დაგვთანხმდა.

ეგებ სუფრამ გვიშველოს...

— ჰერ ჰანს, როგორ შეაფასებდით კიევურ ვნებათაღელვას და არდამტკიცებულ კალენდარს?

— მიჭირს საუბარი იმ დაძაბულ სიტუაციაზე, რაც საპრესკონფერენციო დარბაზში სუფევდა. ასეთ მდგომარეობაში მუშაობა შეუძლებელი იყო.

— ცნობილი გახდა, რომ თურქულმა მხარემ, თითქმის გამზადებული შეთანხმების ვარიანტი ჩაშალა...

— ჩემგან აქ მყოფი რომელიმე მხარის კრიტიკა არაკოლეგიალური და ულამაზო იქნება. რაც შეეხება თქვენს წარმომადგენელს, ჩვენ საკმაოდ ნორმალური და საქმიანი ურთიერთობა ჩამოვყალიბდა.ვფიქრობ, ქართულ მხარესთან არც მომავალში შეგვექმნება პრობლემები.

— როგორ ფიქრობთ, თეორიულად მაინც თუ არსებობს ფიფას ჩაურევლად მოლაპარაკებისა და კალენდრის შედგენის შანსები?

—დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით, ვატყობ, რომ ჩვენს ჯგუფში საკმაოდ რთული ვითარებაა როგორც სპორტული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ასეთი რამ კი დაუშვებელია. ვნახოთ, ახლა ბანკეტი იწყება და ეგებ იქ მაინ გადავწყვიტოთ ის საკითხები, რაც მომავალში ყველასთვის მისაღებ შედეგებამდე მიგვიყვანს.

დავით ერაძე

ჰოლანდია

II დივიზიონი. XXI ტური

იგლსი 1:1 ეინდჰოვენი
სიტარდი 1:0 კამბური
დენ ბოსხი 5:0 მაასტრიხტი
დორდრეხტი 1:1 ექსელსიორი
სპარტა 3:1 ვეენდამი
ემენი — ჰერაკლესი გადაიდო
ვენლო — ოსი გადაიდო
ჰაარლემი 1:0 გრააფსხაპი
აპელდორნი 2:3 ტელსტარი

ბელგია

იუპილერლიგა. XX ტური

ლუვიე — ბრიუგე გადაიდო

აფრიკის თასი

B ჯგუფი. II ტური

სენეგალი 3:0 კენია
ბურკინა ფასო 1:3 მალი

ინგლისი

II დივიზიონი. XXIX ტური

შეფილდ უენსდი 1:1 უიკომბი

III დივიზიონი. XXIX ტური

დონკასტერი 1:0 ნორთჰემპტონი

გერმანია

ბუნდესლიგა. XVIII ტური

დორტმუნდი 0:1 შალკე

იტალია

სერია B. XXV ტური

მესინა 2:1 ლივორნო

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXII ტური

მონაკო 1:1 პსჟ

პორტუგალია

სუპერლიგა. XX ტური

ბრაგა 1:1 მორეირენსე

აი, ის დინამოელი თუ შეიძლება...

რატი როსტოვში, ბურდული კიევის დინამოში

ბაბური ჯიბლაძის ფოტოები

„დინამომ" ბოლო წლების განმავლობაში პირველად მოახერხა იმ შემადგენლობის თავმოყრა, რომელმაც ქართველ გულშემატკივარს ჩემპიონთა ლიგის ძირითად ტურნირში მოხვედრის ილუზია ჩაუსახა. ილუზია კი იმიტომ, რომ „დინამო" ერთმანეთის მიყოლებით კარგავს წამყვან მოთამაშეებს. ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, დარასელია... ადვილი შესაძლებელია, ამ უკვე ექსდინამოელთა სიას ალექსიძისა და ბურდულის გვარებიც მიემატოს. ისინი, როგორც თავად აცხადებენ, დღე-დღეზე აპირებენ აბარგებას. ამას დაუმატეთ დავით ყვირკველიას შესაძლო ტრანსფერიც და დარწმუნდებით, რომ დინამოელებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა კი არა, ვინძლო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაც გაუჭირდეთ

ესენგეს თასის შემდეგ დინამოელებზე, რომ იტყვიან, ნადირობა გაჩაღდა, გამონაკლისი არც **ლადო ბურდული** *იყო...*

— მე უკვე ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ კვიპროსზე გუნდთან ერთად არ მივემგზავრები. იმდენად რეალური ვარიანტი გამოჩნდა, რომ უარის თქმა სიგიჟე იქნებოდა.

— რა ვარიანტია?

— კიევის „დინამო" თანახმაა, ყოველგვარი სინჯების გარეშე, სამედიცინო შემოწმების შემდეგ კონტრაქტი გამიფორმოს.

— ესე იგი, ამისულაშვილის თანაგუნდელი გახდები?

— ყველაფერი აქეთ მიდის. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკების დროს ჩემმა მხარემ განაცხადა, რომ გასინჯვაზე არ ჩავიდოდი და მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებაზე ვიქნებოდი ყაბულს, რაზეც თანხმობა მივიღე. მეტიც, კიეველები თანახმა არიან, 3 თებერვალს გუნდთან ერთად ესპანურ შეკრებაზე წამიყვანონ. ამიტომაც ჩქარობენ, სავიზო პრობლემების მოგვარებას ხომ დრო სჭირდება. რაც შეეხება ალეკოს, დღესაც მეხვეწებოდა, ჩამოდიო, ერთი სული აქვს, როდის ჩავალ.

— რა გარანტია გაქვს, რომ „დინამოსთან" კონტრაქტზე ხელს გაუსინჯავად მოაწერ?

— მათ ჩემი თამაშის არაერთი ვიდეოკასეტა აქვთ, გარდა ამისა მოსკოვშიც ვუნახივართ საქმეში და მოვწონებივარ. თუ შევამჩნიე, რომ მაინც შემოწმება დამიწყეს, რა პრობლემაა, ჩემოდანს ჩავალავებ და „დინამოს" 6 თებერვლიდან კვიპროსზე შევუერთდები. ისე, არ მგონია, რომ ასეთმა კლუბმა, როგორიც კიევის „დინამოა", პირობა გატეხოს.

დავით ერაძე

! ალექსიძესთან საუბრის მერე შევიტყვეთ, რომ კვიპროსზე შესაძლოა დინამოელებს არც რატი გაჰყვეს. მისი რუსული პრემიერლიგის ვარიანტი გამოიკვეთა და ეს „როსტოვი" გახლავთ.

დინამოელებმა კი თვალი ელისტის „ურალანიდან" წამოსულ 21 წლის მცველ ანზორ კალაძეს დაადგეს და შესაძლოა, კვიპროსზე იახლონ.

ვინღა დარჩება ესენგეს თასზე ნაჩემპიონარი „დინამოდან" ივო შუშაკს?



ვაშაკიძე დოლიძისა და ბობოხიძის ფოტო

ეროვნული ნაკრები ბოლოს

ფოტო: ბაბური ჯიბლაძის

მოსკოვიდან დაბრუნებულმა დინამოელებმა ორი დღე დაისვენეს და დიღმის ბაზაზე მზადებას შეუდგნენ. ხვალ კი თერთმეტგზის ჩემპიონი უკვე მეორე შეკრებაზე მიემგზავრება. თბილისელები არც ამჯერად ღალატობენ ტრადიციას და ზედიზედ მესამე ზამთარს კვიპროსის საკურორტო ქალაქ აიანაპაში შეიკრიბებიან და კვლავ ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „მელისში" იცხოვრებენ

მქსტრადიცია ოთხვარსკვლავიანი შეკრება უვარსკვლავებოდ

სიახლეა ის, რომ გუნდს კვიპროსში გიორგი ნემსაძე გაჰყვება, „დინამო 2"-დან კი გუნდს ახალგაზრდა ექონია დაემატება.

გამგზავრების წინ გუნდის სპორტულ დირექტორს **გივი ნოდიას** შევეხმიანეთ და კვიპროსულ შეკრებაზე ვესაუბრეთ.

— მზადების მეორე ეტაპს იწყებთ, რა სახის იქნება კვიპროსული შეკრება?

— მოსკოვისგან განსხვავებით, ეს იქნება ტრადიციული საკარჯიშო მზადება 1 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით, ორჯერადი ვარჯიშით და 4 საკონტროლო თამაშით. მოსკოვში საკმაო შეხვედრების ჩატარება მოგვიხდა, ამიტომ თამაშებთან დაკავშირებით გარკვეული კორექტივები შევიტანეთ.

— ცნობილია, რომელ გუნდებთან გექნებათ სპარინგ-მატჩები?

— კონკრეტულად ჯერ არ ვიცით, ცნობილია მხოლოდ ის, რომ იქ იქნებიან აღმოსავლეთ ევროპის, სკანდინავიისა და უკრაინის გუნდები. ჩვენც სწორედ მათგან ავირჩევთ მეტოქეს. სავარაუდოდ, პირველ და ბოლო შეხვედრებს შედარებით სუსტ მეტოქეებთან გავმართავთ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 15 თებერვლიდან ჩვენი გუნდის წამყვანი მოთამაშეები ეროვნულ ნაკრებში იქნებიან გამოძახებულნი.

— მოსკოვში 6 მატჩი, კვიპროსში 4, ამას დავუმატოთ ნაკრებში დინამოელთა თამაშიც, ყოველივე ეს ფეხბურთელებს ხომ არ გადაღლის?

— როდესაც გუნდს მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ჰყავს, გადაღლაზე საუბარი უხერხულიცაა. ბატონმა ივომ კარგად იცის, თუ როგორ დაგეგმოს მოსამზადებელი ეტაპი. მე პირიქით ვფიქრობ, მოსამზადებელი პერიოდის დროს მიღებული დატვირთვებით „დინამო" თავის საუკეთესო ფორმის პიკს მარტის თვეში მიაღწევს.

— კვიპროსში ერთი მნიშვნელოვანი შენაძენით მიდიხართ, ნემსაძის გადმობირებით რა შეიცვლება „დინამოში"?

— სასიხარულოა, რომ ნაკრების კაპიტანი და მაღალი კლასის მოთამაშე ჩვენს კლუბში ჩაირიცხა. ის ლიდერის თვისებებითაა დაჯილდოებული და ვფიქრობ, ეს ძალიან წაადგება „დინამოს". გარდა ამისა, მის გვერდით მოედანზე ყოფნა ახალგაზრდებსაც წაადგებათ სათანადო გამოცდილების მიღებაში, დაოსტატებაში.

— კაპიტნის სამკლავურს ნემსაძეს ხომ არ გადაულოცავთ?

— არა, ყოველ შემთხვევაში, ამაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა. ასეთი ნიუანსები გუნდის გადასაწყვეტია.

— ივო შუშაკმა განაცხადა, რომ კვიპროსზე ლეგიონერების შერჩევაც მოხდება, მან აქცენტი ბრაზილიელებზე გააკეთა...

— ლეგიონერებს ნამდვილად გავსინჯავთ, ოღონდ არა მხოლოდ ბრაზილიელებს. მთავარია, ესა თუ ის ფეხბურთელი „დინამოს" გასაძლიერებლად გამოდგეს. გამორჩეულად არც რომელიმე ამპლუასას ვეძებთ. მთავარია, ფეხბურთელმა მოგვაწონოს თავი. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი პოზიციის მოთამაშეს შევიძენთ.

კვიპროსზე „დინამო" ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: ზოიძე, გვარამაძე, მამალაძე, შაშიაშვილი, წერეთელი, კანდელაკი, კვირკველია, აბალაია, ნემსაძე, კარლოსი, ანჩაბაძე, ხმალაძე, კაშია, ექონია, გოგობერიშვილი, მელქაძე, იაშვილი, ალექსიძე, ბობოხიძე, ჩიტაია, სახვაძე.

დავით ერაძე

ნემსაძე, დინამო და ხანდაზმული ფანობა

საქართველოს ეროვნული ნაკრების 31 წლის კაპიტანი გიორგი ნემსაძე თბილისის „დინამოში" დაბრუნდა — ნემსაძემ წლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი საქართველოს თერთმეტგზის ჩემპიონთან და ინტერვიუც ამად ჩამოვართვით

— რას ნიშნავს შენთვის ის, რომ კვლავაც დინამოელი ხარ?

— ბევრ რამეს — ჩემი კარიერის პირველი ეტაპი ხომ „დინამოში" გავატარე და სიყმაწვილის წლები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ადრევე მქონდა განზრახული კარიერის მიწურულს „დინამოში" დაბრუნება, მაგრამ ზუსტად როდის მოხერხდებოდა ეს, არ ვიცოდი. ახლა კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც კლუბის ხელმძღვანელობას და მე გვინდოდა.

— მოლაპარაკებებისას კლუბის ხელმძღვანელობის გარდა გუნდის თავკაც ივო შუშაკთანაც ისაუბრე?

— კი და ეს „დინამოს" მოსკოვში წასვლამდე მოხდა. შუშაკმა ჩემი დინამოელობის სურვილი გამოთქვა და მისი მადლობელი ვარ.

— კონტრაქტის გაფორმებისას გუნდის ძირითადში თამაში მოითხოვე?

— არა, ასეთ რამეს მე ვერასდროს მოვითხოვ და თუ სხვა უკეთ გაართმევს საქმეს თავს და სულ ძირითადში არ ვიქნები, ამის გამო პრეტენზიები არ მექნება.

— გუნდს ჯერ კარგად არ იცნობ, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გაქვს და როგორ ფიქრობ, რა შეუძლია ამ „დინამოს"?

— გუნდს კარგად ჯერ მართლაც არ ვიცნობ, მაგრამ თანამეგობრობის თასის მოგებამ ძალიან გამახარა და ოპტიმისტურად განმაწყო.

— ცუდი მოედნები, მოუწყობელი საშხაპეები... ამგვარ პრობლემებთან შეგუება ევროპამოვლილ კაცს არ გაუჭირდება?

— ასეთ რამეებს საქართველოში პირველად არ ვაწყდები და ვფიქრობ, ეს ჩემთვის პრობლემატური ფაქტორი არ იქნება.

— პრობლემა ალბათ არც „დინამოს" მორიგი ჩემპიონობა იქნება...

— ასე არ ვიტყოდი, რადგან არიან ისეთი პერსპექტიული გუნდები, რომლებიც „დინამოს" კონკურენციას გაუწევენ — „ვიტ ჯორჯია" და „თბილისი", რომელიც მკვეთრ პროგრესს განიცდის. მოკლედ, „დინამოს" ჩემპიონობა გარანტირებული არ აქვს.

— დინამოს გულშემატკივრებს რას ეტყოდი?

— ზოგადი ფრაზების თქმა არ მსურს, მაგრამ ერთს კი ვიტყოდი — შოტლანდიიდან რომ დავბრუნდი, რამდენიმე ხანდაზმულ გულშემატკივარს შევხვდი, ისეთებს, რამდენიმე ათეული წელი „დინამოს" რომ ქომაგობენ. ძალიან გამიხარდა, რომ „დინამოს" ისინი კვლავაც გულშემატკივრობენ — ეს დიდ სტიმულს მაძლევს და უფრო მეტი ინტერესიც გამიჩნდა „დინამოში" დასაბრუნებლად.

დავით თავართქილაძე

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გიორგი ქინქლაძე ოთხშაბათს ინგლისური „ლიდსის" ფეხბურთელი გახდება. ყოველ შემთხვევაში, ქინქლაძისა და კლუბის ხელმძღვანელთა ურთიერთობა ამის თქმის საბაბს იძლევა

ლიდსს ფული მიეცა, ქინქლაძეს იმედი

გაკოტრების პირას მყოფმა „ლიდსმა", ჩანს, ამოისუნთქა. ფეხბურთელებმა უფროსობისა და ქომაგთა თხოვნა გაითვალისწინეს და ხელფასის 30 პროცენტის შემცირებას დათანხმდნენ, ამასთან ერთად გაჭირვებულ კლუბს ოთხი ჯიბესქელი თანაქალაქელი დაეხმარა და „ლიდსს" სეზონს გაატანინებენ.

სწორედ ფინანსური კრიზისი იყო მიზეზი იმისა, რომ „ლიდსში" ნაახალწლევს გასასინჯად მისულ ქინქლაძეს კლუბის ხელმძღვანელობა საბოლოოდ პასუხს ვერ ეუბნებოდა და ჩვენიანიც იმ საქმის მოგვარებას ელოდა, რასაც წერტილი დღეს-ხვალ უნდა დაესვას.

— მგონი, „ლიდსმა" ამოისუნთქა, ფეხბურთელებმა ხელფასი ჩამოიჭრეს, აქაური ბიზნესმენები კი კლუბს ხუთი მილიონით დაეხმარნენ. „ლიდსს" ეს ფული გადასახდელი აქვს, გადაიხდიან და ადმინისტრაციულ მართვას გადაურჩებიან — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ — „ლიდსი" სეზონს ჩაამთავრებს, მერე კი, ფიქრობენ, რომ კლუბს სერიოზული მყიდველი გამოუჩნდება.

— შენი საქმე როგორ იქნება?

— ამ კრიზისის მოგვარებას ველოდი. ხელმძღვანელობა აქამდე არაფერს ამბობდა, თუმც კი მაიმედებდა, პასუხს მალე გეტყვით. ბოლო დღეებია, აქაურებს ხასიათი გამოუკეთდათ, მაგრამ ჩემთან საქმის დაჭერას ჯერ მაინც ერიდებიან. ამ კვირაში ყველა პრობლემა საბოლოოდ გადაწყდება და მომავალ კვირაში, ვიმედოვნებ, კონტრაქტს გავიფორმებ. „ლიდსს" რომ არ ვჭირდებოდე, უარს აქამდეც მეტყოდნენ.

— „ლიდსი" შენც ხომ გჭირდება...

— რა თქმა უნდა. სეზონის ბოლომდე რომ ვითამაშო, ეს ჩემთვის ძალიან კარგი იქნება. არადა, რაღა დარჩა — 11 ტური. თანაც ისეთ ანაზღაურებას არ ვითხოვ, „ლიდსმა" ვერ გადაიხადოს.

— ამ კვირაში ამხანაგური მატჩი უნდა გეთამაშა...

— ვითამაშე კიდეც „ვესტ ბრომვიჩთან".

— მერე, კმაყოფილი ხარ?

— ამდენი ხნის უთამაშებელს არა მიშავდა. თანაგუნდელებიც კმაყოფილნი დარჩნენ. თავს ვატყობ, რომ ნელ-ნელა ფორმას ვიბრუნებ.

— მომავალ კვირას თუ მოაწერე კონტრაქტს ხელი, როდის ითამაშებ?

— თუ ყველაფერი კარგად იქნა, მომავალ კვირას ვითამაშებ.

კობა ინასარიძე

იაშვილის მეორე წრე: საუკეთესონი მინუს ბაიერნი

ზამთრის შესვენების შემდეგ გუშინ ბუნდესლიგა განახლდა — ლევან კობიაშვილის „შალკე" მათიას ზამერის „დორტმუნდს" ეწვია, ხოლო იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი" ხვალ კლაუს აუგენტალერის „ლევერკუზენს" უმასპინძლებს.

პირველი წრე ალექსანდრე იაშვილმა ჩინებულად ჩაატარა — „ფრაიბურგის" თითქმის ყველა საგოლე თუ სახიფათო იერიშის წარმმართველი სწორედ იაშვილი გახლდათ, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ.

— მოსამზადებელმა პერიოდმა ნორმალურად ჩაიარა. ერთი ეგაა, ლევან ცქიტიშვილი მუხლმა შეაწუხა და ვარჯიშები გაუცდა. თუმც მომდევნო კვირას „ცქიტო" გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს.

— მეორე წრეს „ლევერკუზენით" იწყებთ...

— ძალიან ძნელი მატჩი გველის, რადგან „ლევერკუზენი" ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. თანაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ დავიწყებთ მეორე წრეს — ჩვენი მიზანია, რომ დასაწყისი აუცილებლად კარგი იყოს. თუნდაც იმიტომ, რომ პირველი წრის ბოლო მატჩები „ბაიერნთან" და „ჰამბურგთან" ცუდად ჩავატარეთ.

— როგორ ფიქრობ, ჩემპიონობის მთავარი კანდიდატი რომელი გუნდია?

— პირველი წრე ყველაზე კარგად ბრემენის „ვერდერმა" ჩაატარა — აქ თამაშის ხარისხსაც ვგულისხმობ. მაგრამ, მიუნხენის „ბაიერნის" მაინც ყველას ეშინია. როცა ეს გუნდი რთულ სიტუაციაშია, ყოველთვის პოულობს გამოსავალს. მოკლედ, როცა გადამწყვეტი მომენტი დგება, სხვა გუნდები ნერვიულობენ, „ბაიერნი" კი პირიქით, უფრო მაგრად თამაშობს.

— „ფრაიბურგმა" კონტრაქტის გახანგრძლივება შემოგთავაზა და პასუხი იანვრის ბოლოს უნდა გეთქვა...

— მოლაპარაკებები გრძელდება, ახალს ვერაფერს გეტყვით. უკეთეს გუნდში რომ გადავიდე, მეორე წრეც ისევე კარგად უნდა ვითამაშო, როგორც პირველი.

— მოკლედ, „ბაიერნის" გარდა, სხვა ყველა მოწინავე გუნდშია შესაძლებელი შენი ტრანსფერი...

— რა თქმა უნდა, თუ „ფრაიბურგიდან" წავალ, მხოლოდ ისეთ გუნდში, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე ან უეფას თასზე ითამაშებს.

დავით თავართქილაძე

ენსხედეს „ტვენტემ" ბევრისთვის მოულოდნელად ქულები დაკარგა საშინაო თამაშში „ვიტესთან". გოგა გახოკიძის გუნდმა თოვლიან მატჩში ბევრი იომა, მაგრამ დიდი უპირატესობის მიუხედავად ვერაფრით გატეხა წლეულს მაჩანჩალა მეტოქე, არადა, „ტვენტეს" წინა ტურში უშუალო კონკურენტი „ტილბურგი" ჰყავდა დამარცხებული და „ვიტესთან" მოგებით საუეფასთასო ზონაში დამკვიდრდებოდა

გახოკიძის უგოლო თოვლი

ქართველი ლეგიონერისთვის ეს უგოლო მატჩი სხვა მხრივაც იყო გულდასაწყვეტი, ჩვენებურმა ბოლო წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო და ამის გამო მომავალ ტურში იუქმებს.

— ჩვენთან, ფეხბურთელებით დაწყებული და გულშემატკივრებით დამთავრებული, ყველა იმედგაცრუებულია. ასეთი უიღბლობა არ მინახავს, სასწაულად არ შედიოდა ბურთი „ვიტესის" კარში. მომენტს მომენტზე ვქმნიდით, მაგრამ რად გინდა, მეკარეს ვერაფერი მოვუხერხეთ.

— ვიცით, რომ თამაში ძირითადში არ დაგიწყია...

— მეოცე წუთი იყო, მოედანზე რომ შევედი. სამი საგოლე შანსი მქონდა, მაგრამ გამიცუდდა, ამაში ამინდიც იყო დამნაშავე, დიდი თოვლი მოვიდა ენსხედეში და გადათეთრებულ მოედანზე ვითამაშეთ, ბურთის დამორჩილებაც ძალზე ძნელი იყო, არადა, ისეთ მომენტებს, მე რომ მქონდა, ნორმალურ პირობებში იოლად გამოვიყენებდი.

— მატჩის ბოლოს ყვითელი ბარათი მოგცეს, თუ არ ვცდები, ეს მეოთხე იყო და მომავალ ტურს გამოტოვებ.

— სამწუხაროდ, ასეა. ტყუილუბრალოდ გამაფრთხილა მსაჯმა. ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო, მაგრამ ზედმეტად მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო. ყველაზე ძალიან ამაზე მწყდება გული, მომავალ ტურს გამოვტოვებ. არადა, „ფეიენოორდს" ვეთამაშებით.

— „ფეიენოორდთან" მაინც მოგიწევს დაპირისპირება. ამ გუნდს ხომ ერთი კვირის თავზე სათასო მეოთხედფინალში ხვდებით...

— იმ თამაშისთვის საგულდაგულოდ მოვემზადები, თანაც ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე და თავს არ დავზოგავ „ფეიენოორდთან" სათასო მატჩში.

— უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლა კვლავაც უმთავრესი ამოცანაა „ტვენტესთვის"?

— ასეა. თასის გათამაშებიდან ან ჩემპიონატიდან როგორმე უნდა გავაღწიოთ უეფაზე, არადა, ჩემპიონატში ურთულესი მატჩები გველის და თანაც მიჯრით. „ფეიენოორდს", პსვ-ს და „აიაქსს" ვხვდებით, ამათთან თუ ვიყოჩაღეთ, ჩვენი გამჩერებელი არავინ იქნება.

პაატა ქვანტალიანი



გორის „დილას" საპირველეტაპო წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა ალექსანდრე კაიდარაშვილმა. თბილისური „ლოკომოტივიდან" მშობლიურ „დილაში" განათხოვრებული შემტევი 9 გოლით შეენია გორელებს, თან ისიც სათქმელია, რომ კაიდარაშვილს სხვადასხვა მიზეზით ბევრი მატჩი გაუცდა, მისი გადამწყვეტი გოლები კი ელექსირივით შეეშველა ექვსეულისთვის მებრძოლ „დილას".

იჯარის ვადის გასვლის შემდეგ კაიდარაშვილი „ლოკომოტივს" დაუბრუნდა, გუნდთან ერთად შეუდგა სამზადისს და... ცოტა ხნის წინ პირველლიგელ „ამერში" აღმოჩნდა...

ალექსანდრე კაიდარაშვილს გუშინ „ამერის" საფეხბურთო სკოლაში შევხვდით

სიტუაცია საკაიდაროა: ჰოდა, მეც გავიტან!

— შორიდან დავიწყოთ... ქართულ კლუბში თამაშის შემდეგ ოთხი წლის წინ უკრაინაში აღმოჩნდი. გოლებიც გაგქონდა, სტაბილურადაც თამაშობდი, თითქოს არაფერი გიშლიდა ხელს, წარმატებული და ხანგრძლივი გამომდგარიყო შენი უკრაინული კარიერა, მაგრამ მოულოდნელად საქართველოში დაბრუნდი. რა იყო ამის მიზეზი?

— თავიდან ტერნოპოლის „ნივაში" ჩავირიცხე. ურიგო სეზონი არ მქონია, ერთი წელი ალალად ვემსახურე გუნდს, მერე კი „კრივბასმა" ამიყვანა. კრივოიროგელებს მაშინ ამბიციური გუნდი ჰყავდათ. ოლეგ ტარანი იყო ჩვენი მწვრთნელი, ჩინებულად გვიგებდა ფეხბურთელებს, გუნდიც შეკრულ-დაბალანსებული იყო. იმ სეზონში უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძოდით. საამისოდ მეორე ადგილზე უნდა გავსულიყავით, დონეცკის „შახტარიც" კი ჩამოვიტოვეთ, მაგრამ ევროსაგზური მაინც ვერ მოვიპოვეთ. შედეგად ტარანი მოხსნეს. მის ნაცვლად კი გენადი ლიტოვჩენკო მოიყვანეს. ტარანი ბოლომდე მენდობოდა, ლიტოვჩენკომ კი რატომღაც თავიდანვე ამითვალწუნა და სათადარიგო გამხადა. უთამაშებლობას ვერ შევეგუე და საქართველოში დავბრუნდი.

— უკრაინაში თამაშმა ალბათ საკმაო გამოცდილება შეგძინა...

— რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი სკოლა იყო. რაც მთავარია, დისციპლინას შევეჩვიე, პასუხისმგებლობაც ვიგრძენი და საფეხბურთო თვალსაზრისითაც ბევრი რამ შევიძინე.

— პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ „ლოკომოტივს" დაუბრუნდი, მიუხედავად იმისა, რომ „დილას" შენთან ხელშეკრულების გაგრძელების დიდი სურვილი ჰქონდა.

— „ლოკომოტივში" დაბრუნების მიზეზი ის იყო, რომ საიჯარო ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, თანაც „ლოკომოტივიდან" კარგ გუნდში გადასვლის მეტი შანსი მქონდა.

— და „ამერში" აღმოჩნდი. კმაყოფილი ხარ?

— რატომაც არა... სამწუხაროდ, „ლოკომოტივში" სიტუაცია აირია, ჩემს მომავალს ვინ ჩიოდა, თავად კლუბის პერსპექტივაც ბუნდოვანი გახდა, თითქმის უიმედო სიტუაციაში ყოფნას კი „ამერში" გადასვლა ვარჩიე.

— შენ „დილაშიც" შეგეძლო დაბრუნება, მაგრამ პირველლიგელი გუნდი არჩიე. ბევრმა ეს გადაწყვეტილება შესაძლოა, უკანგადადგმულ ნაბიჯადაც ჩაგითვალოს...

— მე ასე არ ვფიქრობ. „ამერში" ფეხბურთელებს იდეალური პირობები აქვთ შექმნილი.

— ბუნებრივია, ფეხბურთელს კლუბისგან მყარი ფინანსური გარანტია სჭირდება, თუმც სამომავლო პერსპექტივაზეც უნდა იზრუნოს, რაც უნდა იყოს, მაინც პირველ ლიგაში მოგიწევს თამაში...

— ვისაც ფული აქვს, მას ამბიციაც გააჩნია, შესაბამისად, პერსპექტივაც. უფრო ამ მხრივ ვარ დარწმუნებული ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში, „ამერი" პროგრესული, მზარდი კლუბია და უდავოდ დიდი პოტენციალი აქვს. მე ფეხბურთელი ვარ და პირველ რიგში გუნდში ისეთი ვითარება მჭირდება, რომ ჩემი საქმის გარდა სხვა რამეზე არ ვიფიქრო. სწორედ ასეთი პირობები აქვს „ამერს". ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებისას არ მიყოყმანია, ისე მოვაწერე კონტრაქტს ხელი.

— შენი ახალი გუნდი პირველი წრის შემდეგ მეხუთეა, შეგიძლიათ წლეულს უმაღლეს ლიგაში გადასვლა?

— რა თქმა უნდა, შეგვიძლია. მეტსაც გეტყვი, ჩვენ გადავალთ უმაღლეს ლიგაში. ამას ჰაერზე არ ვამბობ. ლიდერებთან სხვაობა არც ისე დიდია, თანაც რამდენიმე დღეში ანთალიაში მივემგზავრებით შეკრებაზე, რაც მართლაც დიდი ფორა იქნება ჩვენთვის. ამას ეგებ გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს. სრულფასოვნად მომზადებულ გუნდს ვერაფერი დაუდგება წინ. მჯერა, „ამერი" უმაღლესში გადავა და „დინამოს", „ვიტ ჯორჯიასა" და „თბილისის" კონკურენტი იქნება.

— „ტორპედო", „ბათუმი" ან დანარჩენები არ იქნებიან თქვენი კონკურენტები?

— ამას იმიტომ ვამბობ, რომ რეალურად უმაღლეს ლიგაში ამ სამ გუნდს აქვს განვითარებისთვის საჭირო პირობები. იგივე ვითარებაა „ამერშიც". ამ კლუბს დიდი მომავალი აქვს.

— რამდენ გოლს ჰპირდები „ამერის" ქომაგს?

— იმაზე მეტს ნაღდად გავიტან, რაც პირველ ეტაპზე „დილასთან" შევაგდე. ვნახოთ, გული კარგს მიგრძნობს.

პაატა ძვანტალიანი

ალექსანდრე კაიდარაშვილის პირველი ამერული გოლი. ჯერ საკონტროლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატი წინამძღვრიშვილმა თავისი გაიტანა და მაინც გაიტანა

თანაქალაქელ „ლოკომოტივსა" (2:0) და გორის „დილასთან" (0:0) სპარინგების შემდეგ „ამერმა" გუშინ მესამე მატჩი გამართა მოსამზადებელ ეტაპზე. ამერელთა მეტოქე ამჯერადაც უმაღლესლიგელი, „მცხეთა" იყო

მცხეთას უმტვრიეს საკეტურები...

ამერი უმაღლეს ლიგას ეჩვევა

რამდენიმე ხნის წინ მცხეთელები ლამის მე-15 ეროვნული ჩემპიონატის აღმოჩენად მიიჩნეოდნენ. ერთიმეორის მიყოლებით ქართული საზომებით ბობოლა კლუბები იმსხვერპლეს და ყველასთვის საშიში მეტოქის იმიჯი შეიქმნეს. ჩემპიონატის მიმდინარეობისას, ცხადია, მადაც გაიზარდა, ექვსეულში მოხვედრა ვარსკვლავებთან თამაშს თითქოს სულაც არ ნიშნავდა...

თუმც დღეს სულ სხვა სურათია. ეს ნაქები გუნდი გუშინ „ამერთან" 0:4 შერცხვა. უმაღლესლიგელებს ძირითადი ბირთვიც შეუნარჩუნებიათ, მწვრთნელადაც გამოცდილი თემურ მახარაძე ჰყავთ, მაგრამ აქედან ჯერჯერობით რაც გამოვიდა, უკვე ვნახეთ. მახარაძის ბედი კი ჯერაც გაურკვეველია.

ახლა ორიოდ სიტყვა თამაშზეც ვთქვათ. გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

ამერი: ასლანაძე (ნადირაშვილი 51), კედელაშვილი (ელბაქიძე 52), დავითნიძე, ჩიხრაძე, სილაგავა (მჭედლიშვილი 46), გარუჩავა (ბერიანიძე 51), ვერემჩუკი (შონია 46), განუგრავა (კუსრაშვილი 46), ხუბუა (ფირანიშვილი 52), ა. კაიდარაშვილი (ბ. გოცირიძე 49), რუსია (წინამძღვრიშვილი 49).

მცხეთა: ცინაძე (ბედუკაძე 67), მგელაძე (რაქვიაშვილი 64), ძაგნიძე, ჯაჯარიძე (ქუთათელაძე 46), რაქვიაშვილი (ზაღიაშვილი 20), კოპაური, ავალიანი, ლ. ჩხაიძე (სამაშვილი 46), ბ. ნოზაძე, ჩიღვინაძე, პარამონოვი.

„ამერის" უპირატესობა თვალში საცემი იყო. თამაზ კოსტავას შეგირდებმა თავიდანვე იძალეს და „მცხეთას" კარის დაბომბვაც დაიწყო. მე-8 წუთზე დიმიტრი ვერემჩუკის ურთულესი დარტყმა ცინაძემ მოიგერია, თუმც სტუმართა მეკარე რამდენიმე წამში მაინც გატყდა — ამირან კედელაშვილის ზუსტ პასს „ამერის" ახალწვეულმა, ალექსანდრე კაიდარაშვილმა კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში მიუჩინა ადგილი — 1:0. ეს „კაიდარას" პირველი ამერული მატჩი და გოლი იყო. მეორე ტაიმში მან დუბლსაც გამოჰკრა ხელი, თუმც ამაზე ქვემოთ.

პირველი ნახევრის დამთავრებამდე „ამერს" სამი რეალური მომენტი კიდევ ჰქონდა, ამათგან კი ერთი გამოიყენა. ჯერ განუგრავას და დავითნიძეს უმტყუნა მიზანმა, ხოლო მე-40 წუთზე მამუკა რუსიას დაგორებულ ბურთს ვერემჩუკმა დაჰკრა ლაზათიანად — 2:0.

მეორე ტაიმი ხეირიანად არც დაწყებულიყო, კედელაშვილმა და კაიდარაშვილმა პირველი გოლის იდენტური კომბინაცია რომ გაითამაშეს და ალეკომ ამჯერადაც გაიტანა. მერე კი „ამერის" შემადგენლობა ძირფესვიანად შეიცვალა და თავის გამოჩენის შანსი სათადარიგოებსაც მიეცათ. „მცხეთას" ერთადერთი რეალური მომენტი ამის შემდეგლა ჰქონდა, თუმც ნადირაშვილმა იყოჩაღა.

შეხვედრას წერტილი რატი წინამძღვრიშვილმა დაუსვა, რომელმაც 69-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოში ბოლომდე იბრძოლა, ბურთი ცოცხალი თავით არავის დაუთმო და მეოთხედ დალაშქრა „მცხეთას" კარი.

კახა შალამბერიძე

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

მეტი დიდებული წუთი ნისტელროისთვის

რუუდი როის გაუტოლდა

რუუდ ვან ნისტელროიმ ახალი კონტრაქტი გააფორმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“, რომლის მიხედვითაც კლუბში 2008 წლის 30 ივნისამდე დარჩება.

27 წლის ვან ნისტელროის კონტრაქტი მოჰყვა სერ ალექს ფერგიუსონის ახალ ერთწლიან კონტრაქტს, რომელიც გაის ზაფხულიდან ამოქმედდება. ფერგიუსონი მეტად მოწადინებული იყო, რომ ჰოლანდიელი გუნდში კარგახნით დაეტოვებინა და ხელფასიც მომატებოდა.

„ის გამორჩეული ვინმეა ჩვენთვის. მისი ახალი კონტრაქტი ძალიან სასიხარულოა“ — თქვა მენეჯერმა.

ნისტელროი 2001 წელს 19 მილიონ გირვანქად გადავიდა „მანჩესტერში“ „ეინდჰოვენიდან“, იმის შემდეგ 129-ჯერ ითამაშა „ოლდ ტრეფორდის“ გუნდში და 98 გოლი გაიტანა.

„მე კმაყოფილი ვარ აქ ყოფნით და ჩემი მომავლით — თქვა მან ხელმოწერის შემდეგ — ბევრი დიდებული წუთი მქონია აქ, მაგრამ მეტი მინდა“.

მედიის მონაცემებით ჰოლანდიელის ახალი ხელფასი კვირაში 90 000 გირვანქა იქნება, რითაც ვან ნისტელროი „მანჩესტერის“ ყველაზე მაღალხელფასიან ფეხბურთელს, კაპიტან როი კინს გაუსწორდება.

ირაკლი გამყრელიძე

ლიდსის შავი დღის ვარიანტი

ფეხბურთელები 20 პროცენტს დათანხმდნენ

სამმა ყოფილმა ზარალის ხელფასი იუარა

გორდონ ტეილორი

მრავალტანჯული „ლიდსის“ ფეხბურთელებმა თანხმობა განაცხადეს იმაზე, რომ ხელფასები 20-ზე მეტი პროცენტით შეუკვეცონ. ამის შესახებ განაცხადა ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის თავკაცმა გორდონ ტეილორმა, რომელიც ფეხბურთელთა სახელით ელაპარაკებოდა კლუბს



ტრევორ ბირჩი

„ლიდსს“ ძალიან გაუჭირდა 5 მილიონი გირვანქის სავალე პროცენტის გადახდა და არაერთგზის გადადებული სულ ბოლო ვადა გუშინ საღამომდე ჰქონდა. სულ კლუბის ვალი 80 მილიონ გირვანქაზე მეტია. 5 მილიონის დასაფარად კი ფეხბურთელთა ხელფასების შეკვეცა გახდა საჭირო, რასაც მოთამაშეთა უმრავლესობა არ თანხმდებოდა.

კლუბის პასუხისმგებელმა შეფმა ტრევორ ბირჩმა განაცხადა: „ჩვენ გვესმის, რომ მძიმე მდგომარეობაში ვაყენებთ მოთამაშეებს. ხელფასების შეკვეცა შავი დღის ვარიანტი იყო. ფეხბურთელთა თანხმობა ყველას აღაფრთოვანებს და წინსვლის საშუალებას მოგვცემს ამ სეზონში. დარჩენილ 16 თამაშში პრემიერლიგაში დარჩენისთვის უნდა ვიბრძოლოთ. თუ დავრჩებით, ყველა პრობლემა გადაიჭრება. ამიტომ კლუბი და ფეხბურთელები ერთად ვიბრძოლებთ“.

„ლიდსის“ სამმა გადაყენებულმა მენეჯერმა, დევიდ ოლირიმ, ტერი ვენეიბლზმა და პიტერ რიდმაც დახმარების ხელი გაუწოდეს ბოლო ადგილზე მყოფ და ვალებში ჩაფლულ კლუბს. რახან სამივე კონტრაქტის გაწყვეტით გაუშვეს კლუბიდან, „ლიდსი“ მათ კვლავაც უხდიდა ეგრეთ წოდებულ „ზარალის ხელფასს“, რამაც ამ სამ კაცზე მილიონი გირვანქა შეადგინა. ჰოდა, სამივემ უარი თქვა ამ ფულზე.



პიტერ რიდი



დევიდ ოლირი

ამასობაში კი „ლიდსმა“ 6 თებერვლამდე უნდა იპოვოს სამომავლო მყიდველი ან ინვესტორი. ამ ამბისთვის სასიხარულო გაგრძელება ის შეიძლება იყოს, რომ თუმც გადამრჩენელ არაბ შეიხზე ლაპარაკი მიწყდა, გაჩდნენ იორკშირელი ბიზნესმენები ჯერალდ კრასნერის თამადობით, რომლებიც 20 მილიონს უკვე დებენ. თუმცა, ისევ და ისევ, „ლიდსი“ პრემიერლიგაში უნდა დარჩეს. თანაც შეიხ აბდულრაჰმან ბინ მუბარაკ ალ ხალიფაზე ლაპარაკი კი მინელდა, მაგრამ არაბი ალბათ სეზონის ბოლოს უფრო გამოჩნდება. ასევე ამბობენ, რომ კლუბის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალან ლეიტონიც რაღაცეებს ხლაფორთობს.

მოკლედ, მშველელი თითქოს ბევრია, ბოლომდე კი არცერთი, რაც იმას ნიშნავს, რომ „ლიდსი“ ჯერ საუკეთესოთა ოცეულში უნდა იყოს და იმის მიხედვით მიხედავენ.

ირაკლი გამყრელიძე

ეს მართლაც, რობერტო!

ტურინელ დირექტორებს წყვილად უნდათ

რობერტო მანჩინი „ლაციოში“ რჩება, იაპ სტამი კი შესაძლოა, „იუვენტუსში“ წავიდეს

რამდენადაც ცნობილი გახდა „იუვენტუსი“ „ლაციოს“ იაპ სტამისა და დეიან სტანკოვიჩის მიყიდვაზე ელაპარაკება. გავრცელდა ხმა, რომ „იუვეს“ დირექტორატის წევრები, ლუჩანო მოჯი და ანტონიო ჯირაუდო რომაელ კოლეგებს, უგო ლონგოსა და ჯუზეპე დე მიტას დედაქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში შეხვდნენ, სადაც წყვილის სანაცვლოდ ფეხბურთელები პლუს ფული შესთავაზეს. დავაზუსტებთ, რომ ლაპარაკია ზაფხულის ტრანსფერზე.

რომელ ფეხბურთელებზე და რა თანხაზე ისაუბრეს დირექტორებმა? ჭორების მიხედვით, „იუვეს“ მიერ მომზადებულ წინადადებაში შედის 14,4 მილიონი ევრო პლუს ენცო მარესკა და ხიმენესი, რომელიც დღეს „ტერნანაშია“. შეგახსენებთ, რომ დაჟინებული ხმების თანახმად, სტანკოვიჩთან საქმე „ინტერს“ ჰქონდა მოგვარებული და ამიტომ „იუვენტუსზე“ აღარავინ ფიქრობდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ითქვა, რომ მილანელებს „უდინეზესგან“ დავიდ პიზაროს შეძენა ურჩევნიათ.

მაგრამ აწყობს კი „ლაციოს“ თავკაცს, რობერტო მანჩინის ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩენა? და ბარემ აქვე დავძინოთ, რომ მანჩინი დედაქალაქში შემდეგ სეზონშიც აპირებს მუშაობას.

„მე შემდგომ სეზონშიც „ლაციოში“ დავრჩები“ — განუცხადა ახალგაზრდა ტაქტიკოსმა სატელევიზიო შოუს „უნო მატინას“ ჟურნალისტებს, რომლებმაც ეს კითხვა იმიტომ დასვეს, რომ ბოლო დროს მანჩინისა და „ტოტენჰემს“ ხშირად ერთად ახსენებდნენ.

„ლაციოს“ დირექტორი ორესტე ჩინკვინი: „მანჩინი კიდევ ერთი სეზონით დარჩება ჩვენთან. ამაში ეჭვი ნულარავის შეეპარება. მას მართალია, კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს, მაგრამ კლუბს მძიმე დრო უდგას და ამიტომ იქითა წელიწადზე გარანტიას ვეღარ ვიძლევით“.

სხვათა შორის, „ტოტენჰემის“ გარდა მანჩინის გადაბირება თურმე „ინტერს“ და მადრიდის „რეალსაც“ სდომებია... ყოველ შემთხვევაში, ჭორებში მაინც. გავიხსენოთ, რომ ახალგაზრდა მწვრთნელმა „ლაციო“ ფინანსური გაჭირვების მიუხედავად შარშან ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა, საიდანაც უეფას თასის ნახევარფინალში ამოაყოფინა თავი.

„ჩვენი მიზანი ოთხეულში მოხვედრა და ისევ ჩემპიონთა ლიგაში თამაშია — უთხრა მწვრთნელმა „გაძეტა დელო სპორტს“ — საამისოდ ბევრი თამაშის მოგება გვჭირდება, პირველ წრეზე მეტი ქულა მეორეში უნდა მოვიპოვოთ“.

პაპუნა კედია

გაზას შეჯახება



ხუთშაბათს ავარია მოუხდა პოლ გესქოინს, ოღონდაც ვარსკვლავი მთვრალი არ ყოფილა. ის თავისი **BMW**-თი სატვირთოს შეასკდა, რათა უდროოდ გამომხტარი შემხვედრი მანქანისთვის აეცილებინა ცხვირი.

ავარია გაზას მშობლიურ ქალაქ დანსტონში მოხდა.

გაზას ძმაკაცმა ჯიმი „ხუთზარა“ გარდნერმა კი შემთხვევა ასე განმარტა: „არაფერი მოსვლია. ფრჩხილიც არ წამოსტკენია“.



აფრიკის ერთვნებათა თასი 2004
ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

TUNISIA 2004 NOKIA African Cup of Nations

აფრიკის თასი

C ჯგუფი. II ტური

კამერუნი 5:3 ზიმბაბვე

0:1 ნდლოვუ (8), 1:1 მბომა (31), 2:1 მბამი (39), 3:1 მბომა (44), 3:2 ნდლოვუ (47პ), 4:2 მბომა (65), 5:2 მბამი (67), 5:3 ნიანდორო (89)

ალჟირი 2:1 ეგვიპტე

1:0 მამუნი (13), 1:1 ბელალი (25), 2:1 აშიუ (86)

გაძევება: მამუნი (56, ალჟირი)

მონასტირი აირია

ტუნისში პირველი ჯანყი „სუპერარწივების“ ბუდეში მოხდა. ნიგერიელთა მწვრთნელმა კრისტიან ჩუკვუმ მაროკოსთან მარცხის შემდეგ გუნდის მოწესრიგება გადაწყვიტა. მწვრთნელის წეს-კანონები სამმა „არწივმა“ არად ჩააგდო — „ჩელსის“ სელესტინ ბაბაიარომ, „პორტსმუთის“ იაკუბუ აიეგბენიმ და „შალკეს“ ვიქტორ აგალიმ ჩუკვუს ნათქვამი ყურიდან ყურში გაუშვეს, არ დაემორჩილნენ და ისინი ნაკრებიდან დაითხოვეს. ნიგერიელები ქალაქ მონასტირში არიან დაბანაკებულნი, სადაც მათი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ტაივო ობუნჯობიც იმყოფება. მდივანმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ სამი არწივი ბუდიდან დაიფრინეს

თასის გათამაშების დაწყებიდან მეხუთე დღეს ნაღდი ალალაფრიკული, ლაზათიანი და უხვგოლიანი მატჩი ქომაგებს კამერუნმა და ზიმბაბვემ აჩუქეს.

ალჟირთან პირველ ტურში ვერმომგებმა „ლომებმა“ ფაფარი დებიუტანტთან აიშალეს. მათი განმრისხებელი ზიმბაბველთა კაპიტანი და მეგოლე პიტერ ნდლოვუ გახდა, რომელმაც შეხვედრის დასაწყისშივე უზადო თავური დარტყმით დაჭრა „ლომები“.

ვინფრედ შეფერის ბიჭებისთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ნახევარი საათი დასჭირდათ დასაღრიალებლად.

კარგა ხანს უტრიალეს მეტოქის კარს. თერთმეტივე ზიმბაბველი გააფრთებულ შეტევებს ჰა და ჰა უმკლავდებოდა. მეკარე მურამბადორო სასწაულმოქმედი გახდა. ხაზზე ისეთი ბურთები მოიგერია, კამერუნელები თავში ხელებს წყვილად იტყაპუნებდნენ.

ზიმბაბვე მაინც გატყდა. შეფერის თქმით, მოწინააღმდეგე ჯემბა-ჯემბასა და ჟან მაკუნის მოუღლელობამ გატეხა. ცამეტ წუთში გატანილი სამი გოლით „ლომებმა“ თავადაც ისიამოვნეს და ქალაქ სფაქსის სტადიონზე შეკრებილ 15-ათასამდე კაცსაც პატივი სცეს. პატრიკ მბომამ და მისმა თითქმის მოგვარე მბამიმ მურამბადორო ძლიერ დაალონეს.

შესვენების შემდეგ ინტრიგა ხელახლა დაიბადა. რიგობერტ სონგმა ჟოელ ლუპჰალა საპენალტედ წააქცია და პიტერ ნდლოვუმ თერთმეტმეტრიანი შეაგდო. ანგარიშში სხვაობის შემცირებამ საფეხბურთო ცეცხლი ააგიზგიზა და ოცი წუთის განმავლობაში ორივე კართან ბლომად ხალხი ირეოდა.

სხვებზე უკეთ ვითარებაში კვლავ პატრიკ მბომა გაერკვა და მესამე გოლით ჰეთ თრიქი მიითვალა. ორიოდ წუთში მოდესტ მბამიმ ისეთი გაიტანა, რომლის სანაცვლოდ მბომა თავის სამს უეჭველად დათმობდა.

ზიმბაბველებმა შეხვედრის მიწურულს თავი არ დაუხარეს „ლომებს“ და ესრომ ნიანდოროს წყალობით გული მოიფხანეს.

პატრიკ მბომა ნამატჩევს არხეინად იკრიჭებოდა: „რა თქმა უნდა, ჩემი თავით კმაყოფილი ვარ, მარტო იმიტომ კი არა, რომ სამი გოლი გავიტანე, მთელი მატჩის განმავლობაში კარგად ვითამაშე. ცხადია, მიხარია გუნდის გამარჯვება, მიუხედავად საკუთარ კარში გაშვებული სამი გოლისა, რაც ჩვენი დაცვის სისუსტეზე მიანიშნებს, თუმცა ბოლო მატჩში ყურადღებით უნდა ვიყოთ, რადგან გატანილ-გაშვებულის სხვაობა შესაძლოა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ეგვიპტესთან შეხვედრამდე სიმშვიდის შენარჩუნება გვმართებს. ჯერ მეოთხედფინალში გასასვლელად დიდი ბრძოლა გველის. ვიმედოვნებ, რომ ჯგუფის ბოლო მატჩამდე უფრო მოვუმატებთ — ანუ ეგვიპტელებს ბევრს გავუტანთ, მაგრამ აღარ გავუშვებთ“.

კამერუნის მეგოლეები: მბამი და მბომა

ვინფრედ შეფერი: „ალჟირებელთან საგოლე მომენტების გამოუყენებლობა ნახევარმცველების ზოზინის ბრალი იყო, ამჯერად ისინი გამოფხიზლდნენ და შედეგიც მივიღეთ. ვფიქრობ, ასევე ვითამაშებთ ეგვიპტესთან და მეოთხედფინალში გავძვრებით“.

ზიმბაბველთა მწვრთნელი სანდი მარიმო: „რა დასამალია, რომ ჩვენ ტუნისში სწავლისთვის ჩამოვედით, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცუდ ნიშნებს ვიმსახურებთ. მჯერა, ორი წლის შემდეგ კვლავ მოვხვდებით ეროვნებათა თასის ფინალურ ტურნირზე და მაშინ კი მერწმუნეთ, ბევრს გავაოცებთ რაც შეეხება ბოლო მატჩს, ალჟირთან, ალბათ ლაღ ფეხბურთს ვაჩვენებთ, მაგრამ შევეცდებით, ხუთი გოლი აღარ გავუშვათ“.

პიტერ ნდლოვუმ მოკლედ მოჭრა: „კამერუნის დარ მეტოქესთან ოდნავ მოდუნებაც კი არ შეიძლება, რადგან ნებისმიერს დაემართება ის, რაც ჩვენ თავს გადაგვხდა“.

ჯგუფის მეორე მატჩში კაცნაკლულმა ალჟირელებმა ეგვიპტეს სძლიეს. მამარ მამუნიმ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ნადერ ელ საიედის კარში გაამწესა.

ტაიმის შუაწელში აჰმედ ბელალმა მეტოქე მცველების დაბნეულობით ისარგებლა და გაათანაბრა.

5031	იუვენტუსი-კიევო	1,5	3,1	7,5	1,01	1,25	2,19
5032	ლაციო-სამპდორია	2,15	2,15	5,0	1,07	1,5	1,5
5033	პერუჯა-პარმა	2,9	2,05	3,4	1,2	1,56	1,27
5034	უდინეზე-მოდენა	2,05	2,2	5,3	1,06	1,47	1,55
5035	ინტერი-სიენა	1,6	2,9	6,5	1,03	1,28	2
5038	მალაგა-ვალენსია	4,2	2,05	2,45	1,37	1,54	1,11
5039	ატლეტიკო-ოსასუნა	2,35	2,05	4,6	1,09	1,55	1,41
5040	ბეტისი-სელტა	2,5	2,05	4,0	1,12	1,53	1,35
5041	ვალიადოლიდი-რეალი	4,8	2,1	2,25	1,46	1,53	1,08
5042	ვილიარეალი-ესპანიოლი	1,85	2,35	5,6	1,03	1,39	1,65
5043	სოსიედადი-რასინგი	2,25	2,1	4,8	1,08	1,53	1,46
5044	მურსია-სარაგოსა	2,8	2,05	3,5	1,18	1,55	1,29
5045	მალიორკა-ბილბაო	2,6	2,05	3,8	1,14	1,54	1,33
5046	ბარსელონა-ალბასეტე	1,65	2,6	7,0	1	1,33	1,89
5048	დეპორტივო-სევილია	1,8	2,4	5,6	1,02	1,36	1,68

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5501	მანჩესტერი-საუთჰემპტონი	3,0	2,8	2,0
5503	ბირმინგემი-ნიუკასლი	3,0	2,8	2,0
5504	ჩარლტონი-ბოლტონი	3,0	2,8	2,0
5505	ფულემი-ტოტენჰემი	3,0	2,8	2,0
5506	ლიდსი-მიდლსბრო	3,0	2,8	2,0
5507	ლესტერი-ასტონ ვილა	3,0	2,8	2,0
5508	ლივერპული-ევერტონი	3,0	2,8	2,0
5509	პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი	3,0	2,8	2,0
5510	ბლეკბერნი-ნელსი	3,0	2,8	2,0
5511	არსენალი-სიტი	3,0	2,8	2,0
5514	დორტმუნდი-შალკე	3,0	2,8	2,0
5515	ვერდერი-ჰერტა	3,0	2,8	2,0
5516	შტუტგარტი-პანზა	3,0	2,8	2,0
5517	აინტრახტი-ბაიერნი	3,0	2,8	2,0
5518	ბოხუმი-ვოლფსბურგი	3,0	2,8	2,0
5519	მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი	3,0	2,8	2,0
5520	კიოლნი-მიონხენგლადბახი	3,0	2,8	2,0
5521	პანოვერი-პამბურგი	3,0	2,8	2,0
5522	ფრაიბურგი-ლევერკუზენი	3,0	2,8	2,0
5527	რეჯინა-ემპოლი	3,0	2,8	2,0
5528	ბრეშა-რომა	3,0	2,8	2,0
5529	ანკონა-ლეჩე	3,0	2,8	2,0
5530	ბოლონია-მილანი	3,0	2,8	2,0
5531	იუვენტუსი-კიევო	3,0	2,8	2,0
5532	ლაციო-სამპდორია	3,0	2,8	2,0
5533	პერუჯა-პარმა	3,0	2,8	2,0
5534	უდინეზე-მოდენა	3,0	2,8	2,0
5535	ინტერი-სიენა	3,0	2,8	2,0
5538	მალაგა-ვალენსია	3,0	2,8	2,0
5539	ატლეტიკო-ოსასუნა	3,0	2,8	2,0
5540	ბეტისი-სელტა	3,0	2,8	2,0
5541	ვალიადოლიდი-რეალი	3,0	2,8	2,0
5542	ვილიარეალი-ესპანიოლი	3,0	2,8	2,0
5543	სოსიედადი-რასინგი	3,0	2,8	2,0
5544	მურსია-სარაგოსა	3,0	2,8	2,0
5545	მალიორკა-ბილბაო	3,0	2,8	2,0
5546	ბარსელონა-ალბასეტე	3,0	2,8	2,0
5548	დეპორტივო-სევილია	3,0	2,8	2,0

ელექტრონული ბილეთები

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

31.01	16.30	6001	ინგლისი პლ (XXIII) ..... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
30.01	22.30	6002	გერმანია ბლ (XVIII) ..... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
31.01	21.00	6003	იტალია A (XIX) ..... 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
31.01	22.30	6004	ესპანეთი Iდ (XXII) ..... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
30.01	24.00	6005	საფრანგეთი Iდ (XXII) ..... 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
30.01	00.15	6006	პორტუგალია სლ (XX) ..... 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
30.01	23.30	6008	ბელგია Iდ (XX) ..... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

1-ლი	ტაიმი/ძირითადი დრო	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101	მანჩესტერი-საუთჰემპტონი	1,5	17,0	35,0	3,5	5,6	17,0	25,0	17,0	17,0
5103	ბირმინგემი-ნიუკასლი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
5104	ჩარლტონი-ბოლტონი	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
5105	ფულემი-ტოტენჰემი	3,3	10,0	20,0	4,2	4,4	5,6	20,0	10,0	4,8
5106	ლიდსი-მიდლსბრო	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
5107	ლესტერი-ასტონ ვილა	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	4,8	20,0	10,0	4,0
5108	ლივერპული-ევერტონი	2,3	10,0	20,0	3,4	4,4	9,0	20,0	10,0	8,0
5109	პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი	2,6	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
5110	ბლეკბერნი-ნელსი	7,0	10,0	20,0	8,0	4,4	3,4	20,0	10,0	2,4
5111	არსენალი-სიტი	1,5	17,0	35,0	3,5	5,6	17,0	25,0	17,0	17,0
5114	დორტმუნდი-შალკე	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5115	ვერდერი-ჰერტა	2,1	10,0	20,0	3,4	4,6	10,0	20,0	10,0	9,0
5116	შტუტგარტი-პანზა	2,0	10,0	20,0	3,4	4,6	11,0	20,0	10,0	10,0
5117	აინტრახტი-ბაიერნი	8,0	10,0	20,0	9,0	4,6	3,4	20,0	10,0	2,2
5118	ბოხუმი-ვოლფსბურგი	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
5119	მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი	3,1	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5120	კიოლნი-მიონხენგლადბახი	3,3	10,0	20,0	4,2	4,4	5,6	20,0	10,0	4,8
5121	პანოვერი-პამბურგი	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,4
5122	ფრაიბურგი-ლევერკუზენი	4,4	10,0	20,0	5,0	4,4	4,4	20,0	10,0	3,5
5127	რეჯინა-ემპოლი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
5128	ბრეშა-რომა	7,0	10,0	20,0	8,0	4,4	3,6	20,0	10,0	3,8
5129	ანკონა-ლეჩე	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
5130	ბოლონია-მილანი	7,0	10,0	20,0	8,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,6
5131	იუვენტუსი-კიევო	1,6	15,0	30,0	3,5	5,0	15,0	25,0	15,0	15,0
5132	ლაციო-სამპდორია	2,4	10,0	20,0	3,4	4,4	10,0	20,0	10,0	9,0
5133	პერუჯა-პარმა	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,4
5134	უდინეზე-მოდენა	2,3	10,0	20,0	3,4	4,4	10,0	20,0	10,0	10,0
5135	ინტერი-სიენა	1,7	15,0	30,0	3,5	4,6	15,0	25,0	15,0	15,0
5138	მალაგა-ვალენსია	4,6	10,0	20,0	5,3	4,4	4,2	20,0	10,0	3,2
5139	ატლეტიკო-ოსასუნა	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	6,5	20,0	10,0	6,0
5140	ბეტისი-სელტა	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	6,0	20,0	10,0	5,6
5141	ვალიადოლიდი-რეალი	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,7
5142	ვილიარეალი-ესპანიოლი	2,1	10,0	20,0	3,4	4,6	10,0	20,0	10,0	10,0
5143	სოსიედადი-რასინგი	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
5144	მურსია-სარაგოსა	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	4,8	20,0	10,0	4,4
5145	მალიორკა-ბილბაო	3,3	10,0	20,0	4,2	4,4	5,6	20,0	10,0	5,0
5146	ბარსელონა-ალბასეტე	1,7	15,0	30,0	3,4	4,8	14,0	20,0	12,0	12,0
5148	დეპორტივო-სევილია	2,0	10,0	20,0	3,4	4,6	10,0	20,0	10,0	10,0

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ დანაპირები შეასრულა და „საიდუმლო“ გადაწყვეტილების გასახმაურებლად გუშინ ჟურნალისტებს უხმო. ვიდრე უშუალოდ მინი-პრესკონფერენციას შევეხებოდეთ, შეგახსენებთ, რომ ოთხი დღის წინ საპრეზიდენტო არჩევნებში ბიძინა გეგიძემ და მერაბ ანთაძემ თანაბარი ხმები მიიღეს. პრეზიდენტობა დროებით, მორიგ ყრილობამდე გეგიძემ შეინარჩუნა. ყრილობის დასრულებამდე მხარეებმა შეკრების თარიღზეც დაილაპარაკეს და მაისზე შეთანხმდნენ, თუმცა ეს მოლაპარაკება თურმე შესაძლოა პრეზიდენტის ერთმა სიტყვამ გადაწონოს

ბიძინა გეგიძე:

ზოგიერთ თქვენგანს იმედს გავუცრუებ! მე ვაგრძელებ ბრძოლას!

ბიძინა გეგიძე

-ვასრულებ დანაპირებს და გაგაცნობთ გადაწყვეტილებას, რომელმაც შეიძლება ზოგიერთ თქვენგანს იმედები გაუცრუოს. მე ვაგრძელებ ბრძოლას, რადგან ყრილობამ გადაწყვიტა, თანამდებობაზე დავრჩენილიყავი. უკვე დავიწყე მუშაობა ჩემს პროგრამაში შეტანილი პრიორიტეტების განსახორციელებლად. პირველი და უმთავრესი სახელმწიფოს რაგბისადმი დამოკიდებულების შეცვლაა. ხელისუფლების როლი, როგორც მორალური, ისე ფინანსური თვალსაზრისით სულ სხვა რანგში უნდა იყოს აყვანილი. წინა ხელისუფლებასთან ბევრი მძაფრი წინადადება და თხოვნა გვქონია, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავდნენ. დღეს კი უფრო იმედიანად ვარ. რაც სწრაფად მოხდება ურთიერთობის ჩამოყალიბება, მით უკეთესი ქართული რაგბისთვის.

...არაერთხელ დამისვამს კითხვა, ღირდა თუ არა ჩემი მუშაობა. ცოტასაც დაველოდები, ვნახავ, რა შედეგები იქნება სახელმწიფოსთან და IRB-სთან მიმართებაში მიღწეული და გადაწყვეტილებასაც მივიღებ.

— თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, გადადგებით?

— რომ ვიცოდე, ჩემი გადადგომა საქმეს უშველის, აქამდე არ დავრჩებოდი.

— მომდევნო ყრილობის ზუსტი თარიღი როდის გაირკვევა?

— ეს პრეზიდენტის საქმეა და როცა გადავწყვეტ, შეგატყობინებთ.

— მაშასადამე შეიძლება მაისში არც იყოს?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ეგებ მაისშიც იყოს, მარტშიც და დეკემბერშიც.

— კიდევ ოთხი წლით პრეზიდენტად დარჩენის შემთხვევაში თუ გვპირდებით რაგბის კავშირის საქმეებში გამჭვირვალობას?

— გამჭვირვალობის მიმართ თითოეულ ადამიანს განსხვავებული ხედვა აქვს. დაფარული ისედაც არაფერია და გაურკვევლობის მიზეზსაც ვერ ვხედავ. არანაირი კითხვის ნიშანი ამ მხრივ არ არსებობს.

— თუ მომავალ არჩევნებში იმარჯვეთ, შესთავაზებთ ანთაძეს თანამშრომლობას?

— ჩემი მუშაობის პრინციპი ყველასთვის ნათელია. მაგალითისთვის ერთს გეტყვით — მიხეილ ბურძგლა და მიხეილ რობიტაშვილი წინა არჩევნებში ჩემი კონკურენტები იყვნენ, დღეს კი რაგბის კავშირში ჩემს გვერდით მუშაობენ.

ოთარ მაღლაკელიძე

ავსტრალიის ღია პირველობა 2004

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $



REUTERS მელბურნიდან

როჯერ ფედერერი: ფერეროს მერე მარატის ჯერია

სპორტს მშვიდობა არ უყვარს

შვეიცარიელმა ნეიტრალიტეტი ჩამოიფერთხა

ნახევარფინალი

როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — ხუან კარლოს ფერერო (3, ესპანეთი) 6:4, 6:1, 6:4

როჯერ ფედერერმა გუშინ ორი რამ გააკეთა პირველად — ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამქრის სათავეში მოექცა.

საამისოდ მას ჩოგნის ქნევა მხოლოდ 89 წუთის განმავლობაში დასჭირდა — ფეხებმტკივანმა და საერთოდაც ურიგოდ მოთამაშე ხუან კარლოს ფერერომ მას სწორედ ამდენი ხანი გაუძლო.

დღეს ის ძალიან სწრაფად თამაშობდაო, ამბობდა ნამატჩევს ფერერო, მისი დამარცხება რომ მოვახერხო, 100 პროცენტით უნდა დავიხარჯო, რისი გაკეთებაც მტკივანმა ფეხებმა არ დამანებაო.

თუმცა ფერეროს ტრავმირებული ქვედა კიდურები ფერეროს გუშინდელ ბრწყინვალე გარჯას იოტისოდენადაც ვერ აკნინებს — ის მართლაც შეუდარებელი იყო, ბადესთანაც ჯიქურ მიდიოდა, უკანახაზიდანაც უცთომლად აგლაჯუნებდა და ისედაც ფორმანაკლული მეტოქე აქეთ-იქეთ ჭენაობით სულ მთლად მიასავათა.

თუკი საფინის წინააღმდეგ ხვალ ის ასევე მოუწყვლელი, შეჯავშნული, თავდაჯერებული და მრავალფეროვანი იქნება, ოყრაყმა რუსმა დიდ კორტზე თავისი წარმატებული დაბრუნება სწორედ მასთან უნდა გაასრულოს.

„შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანაა — ამბობდა გუშინ ფედერერი ნამატჩევს — მაგრამ როცა საქმე სპორტს შეეხება, ჩვენი ნეიტრალიტეტი აღარ მოქმედებს... მარატი დიდი მოთამაშეა და მასთან შეხლა ძალიან დაძაბული უნდა გამოდგეს.“

რაც შეეხება პირველოსნობას, ფედერერი გახდა 23-ე მეჩოგნე, ვინაც 1973 წლიდან ანუ რეიტინგსიათა შემოღებიდან დღემდე ამქრის სათავემდე აღზევება შეძლო.

ლევან ძელაურაძე

აქვე იმ 22 მეჩოგნის ჩამონათვალსაც წარმოგიდგენთ, ვინაც რეიტინგსიის უმაღლეს საფეხურზე ფედერერამდე მდგარა:

ენდი როდიკი (აშშ)	30 ოქტომბერი, 2003
ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	8 სექტემბერი, 2003
ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	19 ნოემბერი, 2001
გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	4 დეკემბერი, 2000
მარატ საფინი (რუსეთი)	20 ნოემბერი, 2000
პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	26 ივლისი, 1999
ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3 მაისი, 1999
კარლოს მოია (ესპანეთი)	15 მარტი, 1999
მარსელო რიოსი (ჩილე)	30 მარტი, 1998
თომას მუსტერი (ავსტრია)	12 თებერვალი, 1996
ანდრე აგასი (აშშ)	10 აპრილი, 1995
პიტ სამპრასი (აშშ)	12 აპრილი, 1993
ჯიმ კურიერი (აშშ)	10 თებერვალი, 1992
ბორის ბეკერი (გერმანია)	28 იანვარი, 1991
შტეფან ედბერგი (შვედეთი)	13 აგვისტო, 1990
მატს ვილანდერი (შვედეთი)	12 სექტემბერი, 1988
ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია)	28 თებერვალი, 1983
ჯონ მაკინროი (აშშ)	3 მარტი, 1980
ბიორნ ბორგი (შვედეთი)	23 აგვისტო, 1977
ჯიმი კონორსი (აშშ)	29 ივლისი, 1974
ჯინ ნიუკომბი (ავსტრალია)	3 ივნისი, 1974
ილიე ნასტასე (რუმინეთი)	23 აგვისტო, 1973

ჩხუბი მომენატრა!

რამაზ ფალიანი კაზინოების ქალაქში ოქროს ქამრისთვის მიდის

ორიოდ კვირის წინ IBA-ს (ინტერკონტინენტალ ბოქსინგ ესოუშიეიშენ) ქამრის მომგებმა კობა გოგოლაძემ გვითხრა, რომ 30 იანვარს იმავე ტიტულისთვის უფრო დაბალ წონაში რამაზ ფალიანიც იჩხუბებდა...



— კობამ ქამრის მოგებამდე ბრძოლის გახმაურებისგან თავი შეიკავა. შენც ამას ხომ არ აპირებ?

— წინასწარ ლაპარაკი არც მე მიყვარს, მაგრამ რახან დარეკეთ, მაინც ვეცდები, თქვენი ინტერესი დავაკმაყოფილო.

— მაშინ პირველ რიგში იმაში გაგვარკვიე, როდის და სად გაიმართება მომავალი ბრძოლა.

— ატლანტიკ სიტიში. ამას წყალი არ გაუვა, თუმცა ზუსტი თარიღი მეც არ ვიცი. წინასწარი მოლაპარაკებით, 30 იანვარს უნდა გვეჩხუბა, მაგრამ მგონი, ერთი კვირით გადაიწია. ჯერ საბრძოლო კონტრაქტზე ხელიც არ მომიწერია. ალბათ ეს ფურცლებიც ამ დღეებში დაკანონდება.

— მეტოქეზე რა იცი?

— ლასვეგასელი ჯეიმს ქრეიტონი 33 წლისაა და აქამდე 63 კილოგრამში გამოდიოდა. ამჯერად გადაწყვიტა, 61-ში იბრძოლოს. გამოცდილია, 52 ბრძოლის ჩატარება მოასწრო და 33-ჯერ იმარჯვა, აქედან 19-ში ნოკაუ-ტით.

— ქამრისთვის 12-რაუნდიანი შეხვედრაა საჭირო. საამისოდ თუ ხარ მზად?

— ეს მართლაც დასაფიქრებელია. აქამდე შვიდი სარეიტინგო ბრძოლა ჩავატარე და 6-რაუნდიანზე მეტი არც ერთი ყოფილა. მართალია, ქრეიტონი ამ მხრივ ჩემზე გამოცდილია, მაგრამ მენეჯერი და გარშემომყოფები მარწმუნებენ, რომ გამძლეობაში პრობლემა არ შემექმნება.

— მეტოქის ჩხუბები თუ გაქვს ნანახი?

— რა თქმა უნდა, რამდენიმე შეხვედრის კასეტა მაქვს და გარკვეული დასკვნების გამოტანაც მოვასწარი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი ენერგიულობა და უსწრაფესი ტემპია.

— გოგოლაძის ბოლო ბრძოლის დროს დარბაზში ქართველები არ ყოფილან. ახლაც ასე იქნება?

— კობამ ნიუ ჯერსიდან ძალიან შორს, მინეაპოლისში იჩხუბა. საგულშემატკივროდაც ამიტომ ვერ გავყევით. ატლანტიკ სიტი კი აქედან სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზეა. ბიჭების გარდა ბევრი სხვა ქართველიც მპირდება, მოვალო. თუმც მხარდაჭერა ნიუჯერსელ ამერიკელთაგანაც გარანტირებული მაქვს. რაც არ უნდა იყოს, ყველა გვიცნობს და ლასვეგასელ თანამემამულეს მაინც თანაშტატელი უცხოელი ურჩევნიათ.

— ყველაზე დიდი სტიმული კი ალბათ შენთვის კობას ქამრები იქნება.

— ძალიან ლამაზი ქამრებია. იმედია, მეც მივამატებ. კობამ კი გამარჯვების შემდეგ თავს ცოტა დასვენების უფლება მისცა. ნიუ იორკში გაემგზავრა ახლობლების მოსანახულებლად. დღეს-ხვალ კვლავ შემოგვიერთდება და, ბუნებრივია, მაქსიმალურადაც გამამხნევებს. ახლა მთავარია, კონკრეტული თარიღი გავიგო. აღარ შემიძლია ამდენი ლოდინი, ჩხუბი მომენატრა.

ოთარ მაღლაკელიძე

საკალათბურთო კლუბი ბათუმის „ბასკო“ თანაუგრძნობს საქართველოს ნაკრების კაპიტან ვახტანგ ნაცვლიშვილსა და თსუ-ს კალათბურთელ გიგი ნაცვლიშვილს დედის
მარინა გეგეშიძის
გარდაცვალების გამო

2004 NBA ALL-STAR GAME

რაიმეს წამოყრანტალება ჯერ ვერა, მაგრამ შაკილ ონილმა იაო მინგზე გულში ბოღმის ჩახვევა ალბათ მოასწრო. წონწოლა ჩინელით ჯერ საქმეში ვერ ჯობს შაკს, მაგრამ პოპულარობით კი გაუსწრო და ამ გიგანტ კაცს უკვე მეორედ წაართვა ადგილი დასავლეთის საოლსტარო დამწყებ ხუთეულში

მინგი მინდა მე?!

ჩინელის ჩინებული

თუ ვინმე შაკს შეჰკადრებს და წამოაძახებს, აკი შენც ნახევარი წლის მოსული იყავი ნბა-ში, როცა პატრიკ იუინგი აღმოსავლეთის ვარსკვლავთგუნდში სათადარიგოდ ჩააქვეითეო, შაკს აქვს გაღმა გადავების საბაბი და თავი. იტყვის — მაშინ კაცი ვიყავი და ქუდი მეხურა, მეტოქეებს მატჩმა საშუალოდ 23 ქულასა და 13 მოხსნას ვახურებდი, ეგ თქვენი იაო კი ჯერ თავის არიფ გუნდშიც ვერა პირველობსო.

ასეა თუ ისე, თავის მეორე ნბა-ურ სეზონში საშუალაო მონაცემების (16 ქულა, 9 მოხსნა) ოდნავ გამზრდელმა მინგმა ხალხის ნებით ზედიზედ მეორედ მოიპოვა „ყველა ვარსკვლავის" შოუ-მატჩში დასავლეთის სასტარტო ხუთეულში თამაშის საპატიო უფლება. ხუთეულებს, მოგეხსენებათ, ხალხი ირჩევს ხოლო, აღმოსავლეთ დასავლეთის ვარსკვლავთკრებულების შემავსებელ შვიდშვიდ სათადარიგოს ამ დღეებში ნბა-ს გუნდების მწვრთნელები დაასახელებენ. შაკს ალბათ მაინც არ დატოვებენ თამაშგარეთ და დასავლეთის სათადარიგოებში დასვამენ. ისიც დაბოღმილი ჩაერთვება თამაშში და მინგის ჯინაზე მეტ ქულა-მოხსნას მოიხვეჭს, ხოლო როცა კამერას მიაღირებენ, იტყვის (ან მიგვანიშნებს) — ხალხი თუ არა მწყალობს, ბურთი და მოედანი ხომ მაინც ჩემიაო.



ხალხმა შაკილ ონილს ისევ იაო მინგი არჩია

ხალხის ტრადიციული გამოკითხვა სულ ახლახან დამთავრდა და ხუთეულებიც დაკომპლექტდა. ამერიკელებმა ბოლომდე არ გაწირეს და დასავლეთისვე ხუთეულში ადგილი არ ჩამოართვეს მეორე ლეიკერსელ კობი ბრაიანტს. არადა, ორიოდ თვის წინ კობის სასამართლოში მიყვანას და პატარა ცხოვრებისეული შეცდომის ცხვირში ამოდინებას ჭეშმარიტად ამერიკული მონდომებით ცდილობდნენ. ამ ზაფხულს ქალის გაუპატიურებაში სრულიად ამერიკისგან ბრალდადებული კობი ბრაიანტი იაო მინგთან, კიდევ ერთ ჰიუსტონელ სტივ ფრენსისთან, სანანტონიოელ ტიმ დანკანთან და მინესოტელ კევინ გარნეტთან ერთად ეცდება აღმოსავლელების ძლევას.

აღმოსავლელებსაც სულ დარჩეული ბიჭები შეუყრიათ დამწყებ ხუთეულში. ერთმა მათგანმა ვინს კარტერმა ხალხის გამოკითხვაში უკვე მეოთხედ მოაგროვა ყველაზე მეტი ხმა და ამ მხრივ გაუტოლდა ლეგენდარულ ჯულიუს ირვინგს. ამათზე წინ კი მხოლოდ მაიკლ ჯორდანია, ვისაც 9-ჯერ გაუმარჯვია საოლსტარო გამოკითხვაში.

სულ დაგვავიწყდა, გვეთქვა, რომ ოლ სტარი 15 თებერვალს სწორედ შაკილ ონილის და კობი ბრაიანტის ბინაზე, ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში" გაიმართება.

კოტე ყორშია

2004 წლის ოლ სტარის ხუთეულები

	აღმოსავლეთი	
გამთამაშებელი	ალენ აივერსონი (ფილადელფია)	1,7 მლნ ხმა
მსროლელი	ვინს კარტერი (ტორონტო)	2,1
ფრთა	ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო)	1,2
თავდამსხმელი	ჯერმენ ონილი (ინდიანა)	1,6
ცენტრი	ბენ ვოლესი (დეტროიტი)	2,0
მწვრთნელი	რიკ კარლაილი (ინდიანა)	
	დასავლეთი	
გამთამაშებელი	სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი)	1,0
მსროლელი	კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)	1,8
ფრთა	კევინ გარნეტი (მინესოტა)	1,8
თავდამსხმელი	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)	1,7
ცენტრი	იაო მინგი (ჰიუსტონი).	1,4
მწვრთნელი	ფლიპ სანდერსი (მინესოტა)	

ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 29-30 იანვარი

მაკედონიური აკიდო

ბარსამ ბოისა წამოიკიდა

ევროლიგის მიმოხილვას ტრადიციულად ქართველების ამბებით ვიწყებთ, მაგრამ რაკი მათ ამ ტურში უილაჯოდ იბურთავეს, წერილს ძირითადად სხვადასხვა გუნდებში გაბნეულ საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეებს მივუძღვნით. აქვე შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრების მეტოქენი ევრობასკეტ 2007-ის ქვესაკვალიფიკაციოში მაკედონიის, ფინეთისა და ლუქსემბურგის გუნდები არიან, რომელთა წევრებიც მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობენ ევროლიგაში.

ლაპარაკი გვაქვს სამ მაკედონიელზე და ერთ ფინელზე, თორემ ლუქსემბურგელს რომ ევროლიგაში არაფერი ესაქმება, ყველას კარგად მოეხსენება. მაშ ასე, მაკედონიელებმა ამ ტურში მართლაც თავი ისახელეს, რომელთაგან ერთ-ერთმა, ბარსელონელმა ვლადო ილიევსკიმ ჩვენებურ ვლადიმერ ბოისას წინააღმდეგ ითამაშა.

ილიევსკი შარშან ბოისას თანაგუნდელი იყო „ოლიმპიაში", მაგრამ ზაფხულში მას ბარსელონაში დაუძახეს და ისიც სიხარულით წავიდა კატალონიაში. ოთხშაბათს ეს გუნდები ბარსელონაში შეიყარნენ, რაც ისედაც მძლეთამძლე „ბარსასთვის" წინისწარ გამარჯვებას ნიშნავდა და ასეც მოხდა.

მასპინძლებმა თავიდანვე ჩამოიტოვეს ოლიმპიელები, რაშიც ჩვენთვის საინტერესო ილიევსკიმ ლომის წილი დაიდო. მისი მოსახელე და მოწინააღმდეგე ბოისა კი ჩრდილში იყო და 22-წუთიანი ბურთაობის შედეგად მხოლოდ 2 ქულას დასჯერდა. ამ გუნდების ლიუბლიანურ მატჩში ბოისა საუკეთესო იყო ოლიმპიელთაგან და ბარსელონელებმაც მთელი ყურადღება მის გაუვნებლობას დაუთმეს, რაც მოახერხეს კიდეც.

თამაშის ბედი მესამე მეოთხედში გაირკვა, როცა კატალონიელებმა 30-ქულიან ლიდერობას მიაღწიეს. ილიევსკიმ თავი გამოიდო, 14 ქულა გაჩარხა და საბოლოოდ მხოლოდ 18 ქულის მიმთვლელ რობერტო დუენიასს ჩამორჩა თავისიანთა შორის.

თანამემამულესავით 14 ქულა მოაქუჩა სიენელმა ვრბიცა სტეფანოვმა, ვისმა გუნდმაც დავით უგრეხელიძის „კრკა-ს" გადაუარა. აქაც „ქართულ-მაკედონიურ" ჯახის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ ლამის ერთწლიანი უქმობით „უგრეს" იმდენი დაუკარგავს, რომ „კრას" განაცხადში ჯერაც ვერ ხვდება.

ბარემ მოვათავოთ მაკედონიელებზე საუბარი და ულქერელ პეტარ ნაუმოსკაზეც ვიტყვით. „ულქერ"-ის წინა ტურში ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიას" შეხვდა და ნაუმოსკიმ მაშინ ხელი ვერ გაანძრია, ახლა კი გაცილებით მობილიზებული იყო და რომაელთა სტუმრად ძლევა გარკვეულწილად მისი დამსახურებაცაა.

ქართველების მომავალ მეტოქეთაგან ერთადერთ ჰანი მოტოლას ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. ფინელმა იტალიურ „სკიპერს" ოდენ 2 ქულა შეაწია თელ ავივში, სადაც ბოლონიელებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოინადირეს.

„მაკაბისთვის" ამ მატჩის შედეგს მხოლოდ ის მნიშვნელობ ჰქონდა, გადასწრებდა თუ არა B ჯგუფის ლიდერ მოსკოვის ცსკა-ს, თორემ თელავიველებს უკვე განაღდებული აქვთ მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა და ბოლონიელებთანაც თავი აღარ მოუკლავთ. „სკიპერი" კი ამ გამარჯვებით მესამე ადგილზე გამყარდა და დარჩენილ სამ ტურში ალბათ „სიენას", „პანათინაიკოსსა" და „ჟალგირისს" მოუწევთ მეოთხე გამსვლელი ადგილისთვის ვაინაჩრობა.

C ჯგუფში „ოლიმპიაკოსის" ძლევით შემდეგ ეტაპზე თამაში დაიბევა სტამბოლის "ეფესმა", რომელიც უკვე ორი გამარჯვებით უსწრებს „ბენეტონსა" და „პამესას" და საბოლოოდ პირველ ადგილზე გაასრულებს ამ ჯგუფურ ეტაპს.

ირაკლი პერტაია

A ჯგუფი

პო ორტეზი 68:78 აეკ
პო ორტეზი: ფიორე (13), სკელინი (13)
აეკ: ჯენკინსი (20)

ციბონა 92:69 პარტიზანი
ციბონა: რიმაცი (18)
პარტიზანი: კრსტიჩი (17)

ბარსელონა 92:72 ოლიმპია
ბარსელონა: დუენიასი (18)
ოლიმპია: რაპიმიჩი (18), ბოისა (2)

რომა 53:69 ულქერი
რომა: ბარტონი (13)
ულქერი: ბუკერი (21)

ბარსელონა	11	9	2	+124	20
ციბონა	11	7	4	+4	18
ულქერი	11	6	5	-24	17
პარტიზანი	11	5	6	+2	16
აეკ	11	5	6	-24	16
პო ორტეზი	11	4	7	+8	15
რომა	11	4	7	-41	15
ოლიმპია	11	4	7	-49	15

B ჯგუფი

მაკაბი 89:99 სკიპერი
მაკაბი: პარკერი (24)
სკიპერი: სმოდიში (27)

სიენა 82:55 კრკა
სიენა: კიაჩიგი (22)
კრკა: დუშაკი (14)

ჟალგირისი 89:81 უნიკახა
ჟალგირისი: საბონისი (23)
უნიკახა: როდრიგესი (19)

ცსკა 75:68 პანათინაიკოსი
ცსკა: ბრაუნი (21)
პანათინაიკოსი: პაპანიკოლაუ (15)

ცსკა	11	9	2	+127	20
მაკაბი	11	8	3	+78	19
სკიპერი	11	7	4	+25	18
სიენა	11	6	5	+14	17
პანათინაიკოსი	11	5	6	-5	16
ჟალგირისი	11	5	6	+5	16
უნიკახა	11	3	8	-42	14
კრკა	11	1	10	-202	12

C ჯგუფი

ეფესი 61:52 ოლიმპიაკოსი
ეფესი: კუქო (26)
ოლიმპიაკოსი: ლიადელისი (22)

ტაუ 94:81 ალბა
ტაუ: მასიაუსკასი (28)
ალბა: კოლინზი (23)

პამესა 102:73 შლიონსკი
პამესა: ობერტო (23)
შლიონსკი: გრირი (24)

ვილერბანი 74:87 ბენეტონი
ვილერბანი: გულიაში (23)
ბენეტონი: ევანსი (24)

ეფესი	11	9	2	+81	20
პამესა	11	7	4	+44	18
ბენეტონი	11	7	4	+76	18
ტაუ	11	6	5	+37	17
შლიონსკი	11	6	5	-44	17
ოლიმპიაკოსი	11	5	6	-8	16
ალბა	11	2	9	-84	13
ვილერბანი	11	2	9	-102	13

NBA რეგულარული ჩემპიონატი



კობი ბრაიანტი ოლ სტარს დასავლეთის ხუთეულში დაიწყებს, მთაშაკი კი თადარიგში ყოფნას უნდა დასჯერდეს

— 29 იანვარი —

ატლანტა 85:93 პორტლენდი
ატლანტა: ტერი (14), დიავი (4), ჯექსონი (15), აბდურ-რაჰიმი (13), რეთლიფი (6); მუჰამედი (13), გლოვერი (10), ვონი (6), კროუფორდი (2), დიკაუ (2)
პორტლენდი: სტუდემაიერი (8 ქულა, 13 პასი), ანდერსონი (15), მაილზი (16), ვოლესი (20), რენდოლფი (22 ქულა, 12 მოხსნა); პატერსონი (8), ვუდსი (2), დევისი (1), პერსონი (1)
სტეფანია სათადარიგო იყო

ორლანდო 79:89 ნიუ ჯერსი
ორლანდო: ლუ (4), ბოგანსი (13), მაკგრეიდი (22), ჰოვარდი (9), დეკლერკი (5); სტრიკლენდი (12), გუდენი (10), გირიჩეკი (2), ფაჩულია (4 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ჰანტერი (1), გეინისი, შ. უილიამსი
ნიუ ჯერსი: კიდი (33 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), კიტლზი (4), ჯეფერსონი (13), მარტინი (18), კოლინზი (6); ჰარისი (12), პლანინიჩი (3), როჯერსი, ა. უილიამსი, დევისი, სკალაბრინი, არმსტრონგი

სან ანტონიო 91:96 საკრამენტო
სან ანტონიო: დანკანი (35 ქულა, 18 მოხსნა), პარკერი (19)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (22), ჯექსონი (18), ბიბი (17)

სად რენო და სად პალერმო

რენო

ფორმულა 1-ში ასპარეზობდა
1977-1985 და 2002-2003 წლებში
156 რბოლა; 16 მოგება; 33 პოული; 19 უსწრაფესი წრე; 423 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი — II ადგილი (1983)
2003 წელს დაიკავა IV ადგილი (88 ქულა)
პილოტთაგან საუკეთესო შედეგი — II ადგილი (ალენ პროსტი, 1983)
პრეზიდენტი პატრიკ ფიური (საფრანგეთი)
გენერალური დირექტორი ფლავიო ბრიატორე (იტალია)
ტექნიკური დირექტორი ბობ ბეილი (დიდი ბრიტანეთი)
ბოლიდი „რენო R24“
ძრავა „რენო RS24“ (V10)
საბურავები „მიშლენ პილოტი“
ტესტ პილოტი ფრანკ მონტანი (საფრანგეთი, 26 წლის)



ფერნანდო ალონსო



იარნო ტრული

ესპანეთი

დაიბადა 1981 წლის 29 ივლისს
ოვიედოში
ცხოვრობს ოვიედოსა და ოქსფორდში (დიდი ბრიტანეთი)
უცოლო
სიმღლე 171 სმ; წონა 67 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება: უნგრეთის დიდი პრიზი (2003)
33 რბოლა; 1 მოგება; 2 პოული;
1 უსწრაფესი წრე; 55 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეექვსე ადგილი (55 ქულა, 2003)
ასპარეზობდა „მინარდიში“ (2001)
„რენოშია“ 2003 წლიდან

იტალია

დაიბადა 1974 წლის 13 ივლისს
პესკარაში
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 173 სმ; წონა 60 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)
113 რბოლა; 71 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მერვე ადგილი (2002, 2003)
ასპარეზობდა „მინარდიში“ (1997)
„პროსტში“(1997-1999)
„ჯორდანში“ (2000-2001)
„რენოშია“ 2002 წლიდან

ფრანგული

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

სუპერკონცერნი საფორმულო ელიტას ორი წლის წინ დაუბრუნდა, ბუნებრივია, საკმაოდ ამბიციური მიზნით. მართალია, რენოელები საჩემპიონო ბრძოლისთვის ჯერ მზად ვერ არიან, მაგრამ უახლოეს ხანში პირველ სამეულში მოხვედრაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ. ამდენად, შარშან, წინა სეზონის მსგავსად გუნდური მეოთხე ადგილის დაკავება ერთგვარ წარუმატებლობადაც აღიქვეს.

არადა, მართლაც ამ ორი ჩემპიონატის შედეგები როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან. 2002 წელს — 23 ქულა და მეტი ვერაფერი, შარშან კი — 88 ქულა, 2 პოული, 1 უსწრაფესი წრე, 5 პოდიუმი და, რაც უმთავრესია, თავ-ფეხიანად (შასი, ძრავა, საბურავები) ფრანგულმა საჯინიბომ 20 წლის შემდეგ პირველად მოიგო დიდი პრიზი. აღსანიშნავია, რომ თითქმის ეს ყველაფერი ერთმა პილოტმა, ესპანელმა ფერნანდო ალონსომ მოინაგრა და რა გასაკვირია, რომ წლის აღმოჩენადაც მონათეს. თანაც 22 წლის ნანდო ფორმულა 1-ის 54-წლიან ისტორიაში პოულის და რბოლის მომგები ყველაზე ყმაწვილმძღოლი შეიქნა.

ცისფერ-ყვითელ ბოლიდებით დამდეგ სეზონშიც ალონსო და იარნო ტრული იჯირითებენ და ლამის მიუწვდომელ ბობოლათა სამეულში (ფერარი, უილიამსი, მაკლარენი) შეღწევისთვის იბრძოლებენ. იმედს ახალთახალ „რენო R24“-ის საიანვრო ტესტების საიმედო შედეგები აძლიერებს, თუმც მთავარ პრობლემად კვლავ რჩება სტაბილურობა — შარშან ხომ ათჯერ ვერ მიაღწიეს ფინიშამდე.

წლეულს პილოტთა ტანდემი უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ, ბოსობაში მოხდა მნიშვნელოვანი საკადრო გადაადგილება. საჯინიბო დატოვა „ტოიოტას“ პირობებით მოხიბლულმა ტექნიკურმა დირექტორმა მაიკ გასქოინმა. „რენოში“ მზად იყვნენ ამ გაქცევისათვის და ამდენად, შემცვლელი დიდხანს არ უძებნიათ — ახალი ტექდირექტორი გახდა გასქოინის მოადგილე, 45 წლის ინგლისელი ბობ ბეილი, რომელიც, ბუნებრივია, ყველა საკითხში გარკვეულია, თუმც ამბობენ, მაიკის შეცვლა გაუჭირდებაო.

კიდევ სიახლეზე: „რენოს“ ორი ახალი ზეშეძლებული სპონსორი გამოუჩნდა — საქვეყნოდ ცნობილი სპორტულ ტანსაცმელის მწარმოებელი ვიგანტები „ნაიკი“ და „გურუ“.

ახალი ბოლიდის პრეზენტაცია შედგა გუნდის იტალიელ შეფ ფლავიო ბრიატორეს სამშობლოში, კერძოდ, კუნძულ სიცილიაზე, პალერმოს საოპერო თეატრ „მასიმოში“. საზეიმო ღონისძიების დედააზრი ტრადიციული იყო, შარშანდელზე კარგი მანქანა გვყავს და შედეგსაც უკეთესს მოველითო. ბოლიდში, ცვლილებები უფრო შასის შეეხო, ვიდრე ძრავას.

„რენოს“ პრეზიდენტი პატრიკ ფიური: „2004 წელს უნდა გავასწროთ თუნდაც ერთ გუნდს, რომელიც შარშან ჩვენზე წინ იყო. აქცენტს პირველ რიგში საიმედოობაზე ვაკეთებთ, რაც მორიგი ნაბიჯი იქნება ჩვენი უმთავრესი მიზნისკენ — საჩემპიონო ტიტულისთვის ბრძოლა 2005 წელს.“

გია ახალაძე



გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს საბერძნეთის ელჩი საქართველოში, ქალბატონი კონსტანტინა მაურასკელიდო საელჩოს სამხედრო ატაშესთან, კაპიტან დიმიტრის დარაციანაკისთან ერთად ეწვია

სეოკ-მა საიდუმლოდ ჩასჭრა

ტრადიციული სალამ-ქალამის მერე საუბრის თემა, ბუნებრივია, ამ ზაფხულს გასამართი ათენის ოლიმპიური თამაშები იყო. ელჩმა ისაუბრა ამ თამაშების სამზადისზე, კმაყოფილება გამოთქვა საოლიმპიადო თადარიგით, რაზეც ერთხანს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ფრიად შფოთავდა, ნერვიულობდა და ბერძნებს საოლიმპიადო ბაზების მშენებლობის ტემპებს უწუნებდა. ახლა ათენის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის კარგი მუშაობის თაობაზე ელჩმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის დოქტორ ჟაკ როგის სიტყვები დაიმოწმა.

თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა საქართველოს სპორტსმენთა სამზადისზე, საოლიმპიადო გეგმებზე და იმედებზე ისაუბრა.

ისაუბრეს ამ ორი ქვეყნის ძველ ისტორიულ კეთილ ურთიერთობებზეც, მაგრამ იგრძნობოდა, რომ სტუმარ-მასპინძლის ეს შეხვედრა, რომელიც ბერძენთა ინიციატივით შედგა, ყოველივე ამის მოსასმენად არ გამართულა. ყოველ შემთხვევაში, იყო რაღაც სხვა დიდმნიშვნელოვანი საუბარი, რაც სტუმართა თხოვნით უჟურნალისტებოდ გაიმართა და მას მხოლოდ სეოკის დიდმოხელენი დაასწრეს.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „საიდუმლო სერობაზე“ საუბარი იყო ათენის ოლიმპიური თამაშების უხიფათობაზე, რაც ბოლო წლებში გახშირებული ტერაქტების გამო მეტად პრობლემატურ თემად იქცა. ათენელები ამ პრობლემის გადასაჭრელად მილიონებს ხარჯავენ. მათ ამ საქმეში მრავალი ქვეყანა თანადგომას უცხადებს, და არა მხოლოდ სიტყვით.

ეტყობოდა, საბერძნეთი ქართველებისგანაც მაქსიმალურ სიფრთხილეს ითხოვს, რასაც გუშინდელი შეხვედრა გვაფიქრებინებს.

ავთანდილ ბუკვიშელი

რეგულარული ჩემპიონატი

აბა, შემომიტიე!

დეტროიტმა თავდაცვა იკადრა

29 იანვარი

დეტროიტი 5:2 ნიუ ჯერსი
2:1 1:1 2:0
1:0 რივერსი (12), 1:1 რასმუსენი (14), 2:1 შნაიდერი (17), 3:1 ჰალი (21), 3:2 სტივენსონი (24), 4:2 ჰოლმსტიომ (49), 5:2 დრეიპერი (59)

1995 წელს თასის ფინალში რომ დაუპირისპირდნენ ეს გუნდები ერთმანეთს, თითქოს სამუდამოდ შეიქმნეს თავიანთი იმიჯი. მაშინ უვარსკვლავო „ნიუ ჯერსიმ“ თავისი დაცვითი ტაქტიკის წყალობით გაანადგურა შემტევი ჰოკეის მიმდევარი „დეტროიტი“ და ამის შემდეგ კლუბები სრულ ანტიპოდებად შერაცხეს.

მომდევნო წლებში ორივე გუნდის ტაქტიკამ არაერთხელ გაამართლა. ბოლო ათწლეულში მათ სამ-სამი თასი მოიპოვეს, მაგრამ წინა სეზონში „ეშმაკების“ ტრიუმფმა დეტროიტელებიც კი აიძულა, გადაეხედათ თავიანთი ტაქტიკისთვის. მიმდინარე ჩემპიონატში „წითელფრთიანები“ ძალიან დაემსგავსნენ მეტოქეს, თითქოს მის ასლად იქცნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ახალი სისტემა ხშირად არ უმართლებთ. თუმცა მჯერად ასლი ორიგინალზე უკეთესი გამოდგა. მასპინძლებმა უმოწყალოდ გამოიყენეს ყველა თავიანთი შანსი, როგორც ამას ოდესღაც „ნიუ ჯერსი“ აკეთებდა. მთელი მატჩის განმავლობაში იერიშზე მყოფმა „ეშმაკებმა“ კი მხოლოდ ორი გოლი გაიტანეს. ეს ნაწილობრივ მათი უნიათობით მოხდა, მაგრამ „დეტროიტის“ მეკარე კერტის ჯოზეფის დამსახურებაც გახლდათ.

საინტერესოა, რომ ეს იგორ ლარიონოვის ბოლო თამაში იყო ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. 43 წლის ნიუჯერსელმა, რომელმაც საუკეთესო წლები „დეტროიტში“ გაატარა, განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო სეზონია ლიგაში.

ედმონტონი 5:2 ჩიკაგო
0:1 3:0 2:1
0:1 კოლდერი (1), 1:1 ჰორკოფი (28), 2:1 ლარაქი (35), 3:1 ჰორკოფი (36), 3:2 ბერარდი (49), 4:2 პიზანი (53), 5:2 მორო (58)

ფინიქსი 1:4 ოტავა
0:1 0:1 1:2
0:1 სპეცა (12), 0:2 ლანგფილდი (29), 1:2 დოუნი (41), 1:3 სპეცა (43), 1:4 ალფრედსონი (60)

ლოს ანჯელესი 3:3 კოლორადო
1:1 1:2 1:0 0:0
1:0 ბარნი (8), 1:1 ტანგეი (10), 1:2 ბრიგლი (26), 1:3 ჰეიდუკი (29), 2:3 ფროლოვი (34), 3:3 არმსტრონგი (57)

კაროლინა 3:5 ვაშინგტონი
0:1 2:2 1:2
0:1 ლანგი (20), 1:1 უილიამსი (23), 1:2 ბონდრა (27), 1:3 ბონდრა (29), 2:3 უილიამსი (30), 3:3 ჰედიკანი (49), 3:4 ბატალია (54), 3:5 გრირი (60)

კოლუმბუსი 4:6 ნეშვილი
1:2 1:2 2:2
1:0 სენდერსონი (7), 1:1 სმიტი (9), 1:2 ტიმონენი (19), 1:3 ბარტნელი (21), 1:4 ორზაგი (23), 2:4 ლეტოვსკი (23), 2:5 უოკერი (49), 3:5 ლეტოვსკი (52), 3:6 ერატი (53), 4:6 რაიტი (58)

ტამპა 5:1 პიტსბურგი
3:0 2:1 0:0
1:0 რიჩარდსი (5), 2:0 კუბინა (14), 3:0 ლეკავალიე (16), 4:0 სან ლუი (24), 5:0 ლუკოვიჩი (28), 5:1 მელოში (37)

მინესოტა 2:3 მონრეალი
1:0 1:1 0:1 0:1
1:0 მარშალი (11), 2:0 ლააქსონენი (26), 2:1 ბრისბუა (35), 2:2 რიბეირო (46), 2:3 ზედნიკი (65)

სენტ ლუისი 2:4 ვანკუვერი
0:0 1:0 1:4
1:0 რაიკროფტი (30), 1:1 არვედსონი (43), 1:2 ნესლუნდი (44), 1:3 არვედსონი (51), 2:3 ტკაჩუკი (53), 2:3 დ. სედინი (57)

ბოსტონი 2:1 აილენდერსი
1:0 0:1 0:0 1:0
1:0 მიურეი (17), 1:1 კვაშა (31), 2:1 მიურეი (63)

კინაში და ლუიში

მადრიდში ტურიზმის საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა. პორტუგალიის განყოფილებაში ერთხანს იჯდა ლუიშ ფიგუ და ავტოგრაფებს არიგებდა. პორტუგალიელთა მთავარი ტურისტული სამიზნე წლეულს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატია, რომლის თილისმა კინაშიც ფიგუს მხარს უმშვენებდა

REUTERS მადრიდიდან

REUTERS ჰიუსტონიდან

ჯანეტი შესვენებისთვის

კვირას ჰიუსტონში XXXVIII სუპერბოული გაიმართება, რომელშიაც „ნიუ ინგლენდ პეტროტხი“ და „კაროლინა პანტერხი“ შეხვდებიან ერთმანეთს. ამერიკული ბურთაობის ამ მთავარი დღისთვის ქალაქში თავს იყრიან ვარსკვლავები, რომლებიც შესვენებისას დაატკბობენ მოსეირეებს. ამათში ურევია პოპვარსკვლავი ჯანეტ ჯექსონიც, რომელიც სხვა განთქმულ მომღერლებთან ერთად ჩაებმება საქმეში

თითქმის ყველანი

მსოფლიოს ანტი-სადოპინგო სააგენტოს თავმჯდომარემ, დიკ პაუნდმა ლიზანის ოლიმპიურ მუზეუმში გამოცხადა, რომ მსოფლიოს სპორტული ფედერაციების 87 პროცენტი მხარს უჭერს ახალ ანტი-სადოპინგო წესდებას. ოთხშაბათს ერთ-ერთმა მთავარმა მოყოყმანემ, ფიფამაც კი თანხმობა განაცხადა და ახლა ბობოლათაგან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირილა რჩება, რომელსაც თავისი ხელმოწერით არ დაუდასტურებია ერთგულება



REUTERS ლუი ბიანდიდან



REUTERS ტოკიოდან

ღმერთს უყვარს

REUTERS ხარტუმიდან

აფრიკის თასიც გახურებულა და ტრიბუნებზეც ჭყეტელა ფერები ჭარბობს. ესენი ზიმბაბველები არიან, რომლებიც თავიანთ გუნდს ქომაგობენ კამერუნელთა წინააღმდეგ ტუნისის ქალაქ სფაქსის სტადიონზე. კამერუნმა კი 5:3 მოიგო, თუმცა ზიმბაბველთა ტრანსპარანტებზე წერია, ღმერთს ჩვენ ვუყვარვართო

მუსაშიმარუ

ეს გახლავთ სუმოს ყოფილი დიდი ჩემპიონი, ანუ იოკუძუნა მუსაშიმარუ. ტომით სამოელი მუსაშიმარუ ტოკიოში ცხოვრობს და კვლავაც სუმოს ყველაზე მძიმე მოჭიდავეა, გოლიათი 235 კილოგრამს იწონის

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge